საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 102 (904) | პარასკევი, 3 ივნისი, 1994 წელი | ფასი 6000-კუპონი

შეხვედრა თავდაცვის სამინისტროში

1 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეწვივნენ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, ვიცე-პრემიერი თამაზ ნადარეიშვილი, პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, საქართველოს რესპუბლიკასა და სომხეთის რესპუბლიკაში რუსეთის ჯარების ყოფნის საქმეში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი, საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი თევდორე რეუტი.

შეხვედრაზე რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ ყურადღება გაამახვილა თავდაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის აუცილებლობაზე. ითქვა, რომ საჭიროა ძლიერი, მობილური ბატალიონები და ამ საქმეში უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები. აღინიშნა, რომ დაგეგმილია სასწავლო ცენტრების დაარსება, სადაც სამხედრო პირები მიიღებენ შესაბამის განათლებას. ბატონმა ნადიბაიძემ **კატეგორიულად უარყო ჭორი, რომელიც გავრცელდა 26 მაისს ალლუმის გამართვასთან დაკავშირებით, თითქოს ალლუმზე დაქირავებული ტექნიკა გამოეყვანოთ.** ალლუმი არ იყო მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიება, — თქვა მან, — ალლუმის მოწყობამ ხალხს იმედი გაუჩინა, დევნილს რწმენა დაუბრუნა.

ბატონმა რეუტმა ისაუბრა რუსეთის მხრიდან საქართველოს ჯარის მხარდაჭერის შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობა. აქვე ითქვა, რომ 3 ივნისს გაიმართება საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარების წარმომადგენელთა შეხვედრა საქართველოს ჯარის ხელმძღვანელობასთან, რომელზეც განიხილავენ ორი ქვეყნის სამხედრო შენაერთების ერთობლივი მუშაობის სამომავლო გეგმებს.

თუ გვსურს საქართველოს მომავალზე ვიფიქროთ, — განაცხადა პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ, — უნდა აღვადგინოთ და გავაძლიეროთ ისტორიული ურთიერთობა რუსეთთან, ერთად უნდა ვაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო, რადგან, როგორც იტყვიან, ძალა ერთობაშია.

მართალია, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, — გაიხსენა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სიტყვები ბატონმა ოთარ ფაცაციამ, — მაგრამ იგი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა. და მიმაჩნია, რომ ამ სიტყვებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი მომავალი თანამშრომლობისათვის.

შეხვედრაზე დაისახა პრაქტიკული ღონისძიებები რუსეთსა და საქართველოს შორის მჭიდრო თანამშრომლობის, საქმიანი კონტაქტების გაღრმავებისა და განმტკიცების შესახებ, რომლებიც საოცრად სჭირდება როგორც ერთ, ისე მეორე ქვეყანას.

ნანა გელაშვილი.

გვილოცავენ დღესასწაულს

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო ბრწყინვალებავ, გულთბილად გილოცავთ ეროვნულ დღესასწაულს, გისურვებთ საქართველოს მოსახლეობის ბედნიერებას და კარგ მომავალს მთელი ქვეყნისათვის.

ინგლისის დედოფალი
ელიზაბეთი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

სულითა და გულით გილოცავთ თქვენ და მთელ მეგობარ ქართველ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს. დარწმუნებული ვარ, რომ ყაზახეთისა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის თანასწორუფლებიანობის, პატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება შეესაბამება ჩვენი ხალხების ძირეულ და საარსებო ინტერესებს. ვსარგებლობ შემთხვევით და ვუსურვებ საქართველოს ხალხს ბედნიერებას, მშვიდობასა და თანხმობას.

ყაზახსტანის რესპუბლიკის პრეზიდენტი
ნურსულთან ნაზარბაევი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ!

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო გულწრფელად გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ პირადად თქვენ და მეგობარ ქართველ ხალხს.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა კვლავაც განვითარდება და გაღრმავდება.

მინდა გისურვოთ წარმატებანი თქვენს პასუხსაგებ საქმიანობაში, აგრეთვე ვუსურვო მშვიდობა, ბედნიერება და აყვავება საქართველოს ხალხს.

პატივისცემით,

უკრაინის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ალექსანდრე მოროზი.

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ე. ა. შევარდნაძეს

დიდად პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

გულწრფელად გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის აღდგენის დღის გამო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა კვლავინდებურად განმტკიცდება და განვითარდება. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გისურვოთ თქვენ და მეგობარ ქართველ ხალხს მშვიდობა, სტაბილურობა და აყვავება.

პატივისცემით,

ტაჯიკისტანის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური —
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ემომალი რახმონოვი.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის განკარგულება

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 9 დეკემბრის 874 დადგენილებით „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სავალუტო გადასახადის განაკვეთის შესახებ" ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს მოგებიდან გადასახადის ნაცვლად დაუწესა სავალუტო გადასახადი ყოველ თვეში.

2. აღნიშნული დადგენილების განუხრელად შესრულების მიზნით ვალუტის გადამცვლელმა პუნქტებმა გადაიხადონ ფიქსირებული გადასახადი, მიუხედავად იმისა, მოქმედებენ დამოუკიდებლად თუ ბანკთან ერთად.

ო. ფაცაცია.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახურის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მძიმე მრეწველობისა და ენერგეტიკის განყოფილება საგადასახადო სისტემაში შექმნილი კრიტიკული ვითარებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის მოსახლეობის საყურადღებოდ უფლებამოსილია განაცხადოს, რომ იმ რეგიონებს, საწარმოებს, ორგანიზაცია-დაწესებულებებს, კერძო ფირმებსა და სხვადასხვა უწყებებს, რომლებიც არ უზრუნველყოფენ ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადების დროულ დაფარვას, შეუწყდებათ ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდება.

საქართველოს პარლამენტში

2 ივნისს პარლამენტის სხდომის მუშაობა ნაყოფიერად წარიმართა. როგორც დაგეგმილი იყო, სხდომა დაიწყო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ კანონის კენჭისყრით, რომლის პროექტიც წინა სხდომაზე განიხილეს. პირველი მოსმენით პარლამენტარებმა ეს კანონი მიიღეს.

შემდეგ პარლამენტარები შეუდგნენ დღის წესრიგით გათვალისწინებული კანონპროექტის — „საპარლამენტო ფრაქციების შესახებ" — განხილვას. იურიდიულმა კომისიამ, რომელმაც შემოიტანა ეს კანონპროექტი, განაცხადა, რომ გათვალისწინებულია გამოთქმული შენიშვნები, წინადადებები, შეიცვალა ზოგიერთი მუხლი. მაგრამ, პროექტმა განხილვის პირველ ეტაპზე პარლამენტართა მხარდაჭერა რაღაც გაუგებრობის გამო ვერ პოვა. ხელმეორედ კენჭისყრის შემდეგ კანონი მიიღეს. აგრეთვე მიიღეს პარლამენტის დადგენილება ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ მისი გამოქვეყნებისთანავე.

პარლამენტარებმა განიხილეს და მიიღეს კანონი მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ პირველი მოსმენით.

პარლამენტარმა გივი ლომინაძემ, რომელსაც სხდომაზე განსახილველად უნდა გამოეტანა საკითხი — „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", შესთავაზა კოლეგებს, რომ შესაბამისი დოკუმენტი დაურიგდეს პარლამენტარებს და მხოლოდ შემდეგ განიხილონ იგი.

დადგენილების პროექტი — „ეკონომიკურ რეფორმათა მყარი სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ" — სხდომაზე გამოიტანა პარლამენტარმა ბაკურ გულუამ. პროექტმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ თვად ბაკურ გულუამ შემოიტანა წინადადება, რომ გაერკვიათ, ეყარათ თუ არა ამ სხდომაზე კენჭი განსახილველი დადგენილების პროექტისათვის. ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ დღესვე ეყაროს კენჭი წარმოდგენილ პროექტს.

მაგრამ შესვენების შემდეგ პარლამენტის საღამოს სხდომაზე არ იყო კვორუმი, ამიტომ „ეკონომიკურ რეფორმათა მყარი სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ" დადგენილების პროექტს კენჭი არ ეყარა.

26 მაისს ინგუშეთში მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით, რომლის შედეგად მხეცურად იყო მოკლული რვა ქართველი სპეციალისტი, პარლამენტმა მიიღო მიმართვა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროსადმი, რომელშიც გამოთქმულია რწმენა, რომ დამნაშავენი უმოკლეს ვადაში დადგინდებიან და კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან.

შემდეგ პარლამენტი შეუდგა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში საგანგებო წესების მოქმედების ვადის გაგრძელების საკითხის განხილვას. ამასთან დაკავშირებით გამოვიდა დასავლეთ საქართველოს ზონაში საგანგებო სიტუაციათა დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი გივი ლომინაძე. გაიმართა აზრთა გაზიარება, რომლის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან დაასაბუთა, რომ აუცილებელი იყო მის მიერ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში საგანგებო წესების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ ბრძანებულების გამოცემა, და მოუწოდა პარლამენტარებს მხარი დაუჭირონ ამ ბრძანებულებას. ამავე დროს გაიზიარა ის აზრი, რომ ამ საკითხზე კენჭისყრა უნდა იყოს სახელობითი. მაგრამ იმის გამო, რომ არ იყო კვორუმი, ეს საკითხიც არ დამდგარა კენჭის საყრელად.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

დაიწყო დამნაშავეობასთან ბრძოლის ახალი ეტაპი

ქვეყანა გამოცოცხლდა. ხალხს იმედი გაუჩნდა, ამუშავდა მრეწველობა, მოძრაობა დაიწყო ტრასებზე. გამოიკვეთა ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის კონკრეტული გზები. ყველაფერი ეს, პირველ რიგში, შესაძლებელი გახდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ დამნაშავეთა სამყაროსთან უკომპრომისო ბრძოლის გამოცხადების შედეგად.

31 მაისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან გამართული თათბირის მონაწილეები შეიკრიბნენ არა იმისათვის, რომ აღენიშნათ ეს ფაქტები, არამედ იმიტომ, რომ ღრმა ანალიზი გაეკეთებინათ, თუ რატომ არის ჯერ კიდევ გაუხსნელი მძიმე დანაშაულობათა ფაქტები, რა კონკრეტული ღონისძიებებია საჭირო ქვეყანაში სტაბილიზაციის მისაღწევად.

— დღევანდელი თათბირი საგანგებო ხასიათისაა. — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თათბირის გახსნისას — ერთი მხრივ ჩვენ ვხედავთ კრიმინოგენური სიტუაციის გაჯანსაღებას, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ — ჯერაც არ არის გახსნილი ისეთი მძიმე დანაშაულობები, როგორებიცაა ქალაქის პროკურორის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, თბილისის თამბაქოს ფაბრიკის დირექტორის მკვლელობები.

— 26 მაისის ალლუმზე, ხალხმა დაინახა, რომ ჩვენ გვყავს არმია, საკმაოდ ორგანიზებული პოლიცია, არის საკმარისი ძალები, რომ წესრიგი დავამყაროთ ქვეყანაში. ამ ფონზე უკვე შეუძლებელია შერიგება ნაკლოვანებებთან და საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ ტერორიზმს, ნარკობიზნესსა და კორუფციას.

სწორედ ამ ნიშნით წარიმართა თათბირის მუშაობა. გამოვიდნენ საქართველოს გენერალური პროკურორი **ჯამლეთ ბაბილაშვილი,** შინაგან საქმეთა მინისტრი **შოთა კვირაია,** უშიშროების სამსახურის უფროსი **იგორ გიორგაძე,** ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი **დემურ მიქაძე,** შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსი **მურთაზ ჩიქობავა,** შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **გელა ლანჩავა,** შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი **დავით გულუა,** იუსტიციის მინისტრი **თედო ნინიძე,** მთავარი სამხედრო პროკურორი **ალექსანდრე მუშანაშვილი,** საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ვარდიკო ნადიბაიძე,** საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეები **ანზორ ბალუაშვილი, რევაზ ყიფიანი,** თბილისის მერი **ნიკო ლეკიშვილი,** სატრანსპორტო პოლიციის უფროსი **გია ჩიჩელაშვილი.**

ყველა გამომსვლელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არ დამყარებულა ქვეყანაში სრული წესრიგი. ჯერ კიდევ უამრავი საქმეა გასაკეთებელი სრული სტაბილიზაციისათვის.

თათბირზე მთელი სიმწვავით დადგა საკითხი, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს უკანონო ფორმირებათა პრობლემა, დაკანონდეს და შევიდეს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ვინც საჭიროა, სხვები კი დაიშალოს.

არანაკლებ საგანგაშოა ის, რომ თუმცა 15 მაისიდან ძალაში შევიდა კანონი იარაღის ტარების შესახებ, მაგრამ მას ბევრი არ იცავს, ატარებს იარაღს, რაც ყოვლად დაუშვებელია. კიდევ ერთხელ დიდი ყურადღება დაეთმო ტრასებზე წესრიგის დამყარების საქმეს. საქართველოს ტრასები დღეს საერთაშორისო პრობლემაა, რადგან უცხოელი ინვესტორების გარეშე ვერ გამოვიყვანთ ეკონომიკას კრიზისიდან. პირველი წარმატებები ამ მხრივ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, ტრასებზე მოძრაობა დაიწყო და ეს პრობლემა საბოლოოდ უნდა გადაწყდეს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ წესრიგი დამყარდეს რკინიგზაზე, საჭიროა მკვეთრად გაიზარდოს ტვირთზიდვის ბრუნვა, იყოს დაცული ადამიანებისა და ტვირთის უსაფრთხოება.

როგორც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ **ოთარ ფაცაციამ** აღნიშნა, საჭიროა შევქმნათ ყველა პირობა ეკონომიკის აღორძინებისათვის. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გამოიმუშაონ ერთიანი კონცეფცია დანაშაულთან ბრძოლაში. არც ერთი დანაშაული ურეაგირებოდ არ უნდა რჩებოდეს. არც ის უნდა ხდებოდეს, რომ ერთსა და იმავე ორგანიზაციას ერთდროულად რამდენიმე საკონტროლო ორგანო ამოწმებდეს.

ახალი ეტაპი დაიწყო დამნაშავეთა სამყაროსთან ბრძოლაში, აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ,** როცა თათბირის შედეგები შეაჯამა. თუ საჭიროა სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ახალი კანონები, სამართლებრივი ბაზა, რომლებსაც დაეყრდნობიან სამართალდამცავი ორგანოები.

შემდეგ, სახელმწიფოს მეთაურმა კონკრეტული დავალებები მისცა სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს. კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს, რათა მან წარმოადგინოს სასწრაფოდ მისაღები კანონპროექტების ნუსხა.

დამსწრეთა ყურადღება დაეთმო ინფორმაციულ უზრუნველყოფას. ხელისუფლება მხარს დაუჭერს ყველა ინიციატივას, რომელთა მიზანი იქნება დამნაშავეთა სამყაროს ალაგმვა. პრესამ და ტელევიზიამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ დასმულ საკითხებს, ობიექტურად და სამართლიანად გააშუქონ მიმდინარე პროცესები.

მერვე სვეტი

ბათუმში გაიმართება პარლამენტართა შეხვედრა

სანქტ-პეტერბურგის თავრიზის სასახლეში, სადაც მდებარეობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შტაბსადგომი, გაიმართა საგარეო-პოლიტიკურ საკითხთა მუდმივი კომისიის მორიგი სხდომა. ამ კომისიის წევრის ჯემალ ბერიძის წინადადებით გადაწყდა წლეულს, 10-15 სექტემბერს, ბათუმში გაიმართოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეისა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილე სახელმწიფოთა საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრა. ეს შეხვედრა წარიმართება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეისა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის ერთობლივი კონფერენციის მოსამზადებლად, რომელიც გაისად უნდა გაიმართოს და განიხილავს რიგ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს.

ბესიკ ფიფია,
საქინფორმის კორ.
ქ. სანქტ-პეტერბურგი.

აუცილებელი განმარტება

მიმდინარე წლის 2 ივნისს გაზეთმა „იზვესტიამ" გამოაქვეყნა თავისი ერევნელი კორესპონდენტის, სერგეი ბაბლუმიანის ინფორმაცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის რობერტ კოჩარიანის განცხადებით მალე შეიქმნება ე. წ. არაღიარებული სახელმწიფოების კავშირი, მასში ყირიმისა და მთიანი ყარაბაღის გვერდით გაერთიანდებიან: აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთის რესპუბლიკა და... აჭარაც.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" აჭარის ბიუროს ხელმძღვანელმა გ. ჭელიძემ სთხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს აზრი გამოეთქვა ამასთან დაკავშირებით: — რა შემიძლია ვთქვა ამ მორიგი სიყალბისა და დეზინფორმაციის გამო? რამდენადაც პარადოქსული უნდა იყოს, — აღნიშნა ბატონმა ასლანმა, — იგი ისევ ზოგიერთი ჩვენი გაზეთისა და პასუხისმგებელი პირის პუბლიკაციებსა და განცხადებებს ეყრდნობა. ამიტომაც არაერთხელ მითქვამს: — დიდი პასუხისმგებლობა და სიფრთხილე გვმართებს, როცა სეპარატისტის იარლიყებს დაუმსახურებლად ვაწებებთ კუთხესაც და მის ხელმძღვანელებსაც.

რაც შეეხება აჭარას, ვიტყვი: — იგი ყოველთვის იყო საქართველოს ერთ-ერთი მძლავრი ბურჯი და დასაყრდენი და ასევე იქნება მომავალშიც.

ძვირფასო მკითხველო!

გუშინ ჩვენი გაზეთი არ გამოსულა ელექტროენერგიის მოუწოდებლობის გამო. 1 ივნისს, დილით, როგორც ცნობილია, დენი გამოირთო 9 საათსა და 10 წუთზე. ავარიის ლიკვიდაციის შემდეგ, ე. წ. ეტაპობრივი ჩართვის „წყალობით", რედაქციის შენობაში (კოსტავას ქ. № 14) შუქი მოვიდა 13 საათსა და 35 წუთზე... საღამოს, 15 საათსა და 45 წუთზე დენი ისევ გამოირთო და... მხოლოდ 18 საათსა და 50 წუთზე ჩაირთო.

გასაგებია, რომ მოულოდნელობისაგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ ის კი ნამდვილად გაუგებარია (საკვირველიც!) რედაქციები, გაზეთები რატომ არ არიან „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები" და რატომ არ გვაწვდიან შუქს პირველი შესაძლებლობისთანავე?

სამშვიდობო ღონისძიებანი მოწონებულია

დიდმნიშვნელოვანი ეტაპი კონფლიქტის მოწესრიგებაში

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების პრეზიდენტები ეთანხმებიან აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანისა და განლაგების იდეას. ასეთია დასკვნა, რომლითაც 31 მაისს თბილისში ჩამოვიდა თანამეგობრობის აღმასრულებელი სამდივნოს დელეგაცია, რათა გაეცნოს იგი საქართველოს ხელმძღვანელობის ხუთდღიანი საჰაერო მოგზაურობის შემდეგ, რომლის დროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელმა მდივანმა ივან კოროტჩენიამ მოასწრო გაერკვია ყაზახეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის პრეზიდენტების თვალსაზრისი (თურქმენეთის მეთაურთან საფარმურად ნიაზოვთან შეხვედრა, ალბათ, მოგვიანებით გაიმართება, რადგან იგი მოგზაურობს მალაიზიასა და სინგაპურში). ბიშკეკიდან დელეგაცია დაბრუნდა მინსკის შტაბბინაში და ხუთი საათის დასვენების შემდეგ ჩამოფრინდა საქართველოს დედაქალაქში, სადაც მას დახვდნენ ხელმძღვანელობის წარმომადგენლები და ოფიციალური პირები. დელეგაციამ აეროპორტში დაჰყო ორი საათი და გაფრინდა ბაქოში, რათა შემდეგ ეწვიოს ერევანს და კიშინიოვს. დელეგაციის წევრებმა განმარტეს, რომ როცა შეგროვდება ყველა ხელმოწერა სპეციალურ დოკუმენტზე — იგი მზადდება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საბჭოს დადგენილების სახით, რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, როგორც ამ საბჭოს თავმჯდომარე, მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და სამშვიდობო ძალების შეყვანა რეალობად იქცევა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან საუბრის შემდეგ ივან კოროტჩენიამ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის იმ ქვეყნების ხელმძღვანელებმა, სადაც ჩვენ ვიყავით, არათუ გამოხატეს სავსებით პოზიტიური დამოკიდებულება აფხაზეთში სამშვიდობო ძალების განლაგებისადმი, არამედ დათანხმდნენ შეძლებისდაგვარი მატერიალური დახმარებაც გაუწიონ ქართველ ლტოლვილებს პროდუქტებისა და სხვა საჭირო სახსრების სახით. ამას გარდა, ისინი მზად არიან გამოგზავნონ მეთვალყურეები და გაგვიწიონ სამხედრო დახმარება: ჯარების შემადგენლობაში შევლენ ასეულები, ანდა ბატალიონი თითქმის ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფოს დროშებით". რაც შეეხება უკრაინასა და მოლდოვას, თუმცა ისინი არ არიან კოლექტიური უშიშროების წევრები, მაგრამ, როგორც კოროტჩენიამ განმარტა, „აქ არ არის საჭირო რაიმე მკაცრი გადაწყვეტილება, რომელიც დაავალდებულებდა სახელმწიფოებს გამოეყოთ ჯარები ან გაეწიათ რაიმე სხვა დახმარება. პრინციპში, საჭიროა მათი თანხმობა". მოსკოვში ამ საკითხზე წინასწარი გადაწყვეტილების მიღებისას ყველა სახელმწიფოს მეთაურებმა განაცხადეს, რომ თუ საჭირო გახდება, ისინი უყოყმანოდ დაუჭერენ მხარს აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანის იდეას. აღმასრულებელმა მდივანმა დაადასტურა, რომ ჯარების განლაგების ვადები ადრინდელი რჩება — 10-დან 15 ივნისამდე.

მაგრამ მანამდე სპეციალური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს რუსეთის პრეზიდენტმა იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებსაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურებთან შეხვედრების შემდეგ კოროტჩენია წარუდგენს ბორის ელცინს. „ვიმედოვნებ, რომ იგი მიიღებს იმ საბოლოო გადაწყვეტილებას, რომლის გულისთვისაც მიმართა სწორედ სახელმწიფოთა მეთაურებს", — განაცხადა ბაქოში გაფრენის წინ აღმასრულებელმა მდივანმა.

ედუარდ შევარდნაძემ, თავის მხრივ, კმაყოფილება გამოთქვა იმ დიდი მუშაობის გამო, რომელიც დელეგაციამ გასწია. „კმაყოფილი ვარ, რომ ჩემმა კოლეგებმა, მეგობრებმა, პრეზიდენტებმა და სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა საერთოდ მხარი დაუჭირეს ამ იდეას, — თქვა მან.— უახლოეს დღეებში მიღებული იქნება დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, და მაშინ დაიწყება უმთავრესი — ლტოლვილთა დაბრუნება. ჯარების განლაგებასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი საკითხი გადაწყდება კოლეგიურად, სამუშაო წესით, იმ სარდლობასთან ერთად, რომელსაც, შესაბამისად, განსაზღვრავენ სახელმწიფოთა მეთაურები".

ნოდარ გროლაძე.

ჩაი-94

მდგომარეობა არც თუ უიმედოა

1 ივნისს გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სახელმწიფო-კომერციული გაერთიანება „საქჩაისუბტროპიკის" თანამშრომელთა თათბირი. სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს უმთავრესი: რესპუბლიკაში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და დამზადების მდგომარეობა.

მიმდინარე წლის 31 მაისისათვის, სეზონის დაწყებიდან, დამზადებულია 6.108 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

1993 წლის 31 მაისისათვის მოკრეფილი და დამზადებული იყო სულ 758 ტონა ჩაის ფოთოლი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მდგომარეობას არა უშავს, მაგრამ დამაკმაყოფილებლად, რა თქმა უნდა, მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს.

ზუგდიდის რაიონში სადღეისოდ 1930 ტონა ჩაის ფოთოლია მოკრეფილი. ქობულეთის რაიონში — 604 ტონა, ხელვაჩაურის რაიონში — 480 ტონა, ოზურგეთში — 500 ტონა, მარტვილის რაიონში — 529 ტონა. საერთოდ არ დაწყებულა ჩაის კრეფა ჩხოროწყუს რაიონში. ხელმძღვანელები ამის მიზეზად თვლიან საწვავის უქონლობას, მაშინ, როდესაც სენაკის ნავთობპროდუქტების ბაზიდან დღემდე არ გაუტანიათ ჩაის ფაბრიკებისათვის საჭირო მაზუთი — აღნიშნა მომხსენებელმა, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილემ, შალვა კეკელიამ. ჩამორჩენის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ არ გააჩნიათ თანხები ჩაის მკრეფავთა შრომის ანაზღაურებლად, ენერგორესურსების ნაკლებობა; მაზუთისა და დიზელის საწვავის უქონლობა, რის გამოც ვერ ხერხდება მოკრეფილი ჩაის ფოთლის ტრანსპორტირება ფაბრიკამდე და მისი ტექნოლოგიური დამუშავება. თუმცა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობა, რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჩაის გადამამუშავებელმა ფაბრიკებმა ნორმალურად იმუშაონ და მაის-ივნისის თვეში 70-72 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გადაამუშაონ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის ფაბრიკებში შემოსული მწვანე ფოთლის ხარისხი საკმაოდ მაღალია, ფაბრიკებმა უკვე გადაამუშავეს სურნელოვანი მწვანე და შავი ბაიხის ჩაის პროდუქცია...

ნანა სულავა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

მიმართვა

აფხაზეთიდან დევნილი და ლტოლვილი მოსახლეობისადმი, პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობებისადმი, ყველა საწარმოო, სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებითი კოლექტივისადმი, კომერციული სტრუქტურისადმი, ბიზნესმენისადმი, მეწარმისადმი

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენო დედებო და მამებო, დებო და ძმებო, შვილებო და შვილიშვილებო, ჩვენო თანამემამულენო!

ჩვენი სამშობლო — საქართველო იმყოფება თავისი მრავალსაუკუნოვანი დიდებითა და გმირობით, წინააღმდეგობებითა და სირთულეებით აღსავსე ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ პერიოდში. დარღვეულია მისი ერთიანობა და მთლიანობა. დედასამშობლოს მოწყვეტილია აფხაზეთი... ერთიმეორის მიყოლებით ჩნდება ცხელი წერტილები, ახალი გართულებებით ემუქრება ქვეყანას.

მორეული და ახლო წარსული, აწმყო კიდევ უფრო თვალნათლივ და მთელი სიმკაცრით გვარწმუნებს, რომ ყოველ განსაცდელს აქვს თავისი გამომწვევი მიზეზები, რომლებსაც ადამიანები მიჰყავთ ქვეყნისა და თავისივე ინტერესების გაუთვითცნობიერებელი, საწინააღმდეგო ქმედებისაკენ.

განა მარტო ჩვენი ქვეყნის გარეშე მტრებმა და მოძალადეებმა, რომლებიც არასოდეს ჰკლებია საქართველოს, მიგვიყვანეს საკუთარი კერების, ჩვენი წინაპრებისა და ახლანდელ თაობათა ოფლითა და სისხლით მორწყული მიწის დათმობამდე, ხიზნებადა და ლტოლვილებად გადაქცევამდე? რა თქმა უნდა, ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებდნენ ძლიერი და ცბიერი გარეშე ძალები, მაგრამ ისინი მარტო ვერ შეძლებდნენ აფხაზეთის ხელში ჩაგდებას, რაზეც ნათლად მეტყველებს პროვოცირებული კონფლიქტისა და მის შედეგად დაწყებული ომის მთელი მსვლელობა.

ჩვენ დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ ერთიანობის შემთხვევაში ვერავინ და ვერავითარი ძალა ვერ აგვყრიდა მშობლიური ადგილებიდან და დაგვამარცხებდა, თუნდაც იმიტომ, რომ დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო იგმობა და ითრგუნება ასეთი ქმედებანი. ჩვენი ხალხისათვის ეს მწარე გაკვეთილი ყველასათვის ნათელი და ჭკუის სასწავლებელი უნდა გახდეს ეხლა და მომავალში.

ჩვენ შევიკრიბეთ და განვიხილეთ ჩვენი ურთიერთობების სადღეისო და სამომავლო საკითხები, ქვეყნისა და ხალხის წინაშე მდგომი ურთულესი ამოცანები, მათი გადაწყვეტის მორალური, პოლიტიკური და სამხედრო ასპექტები.

დავსახეთ მოქმედების რეალისტური გეგმები და გადავწყვიტეთ მთელი ენერგია, ძალები და რესურსები მოვახმაროთ დაკარგული პოზიციების აღდგენას, აფხაზეთის დაბრუნებას და ამ საქმეში, განურჩევლად წარსული პოზიციისა და სოციალური მდგომარეობისა, გვერდში ამოვუდგეთ ერთმანეთს, გადავდოთ ის, რაც გვაპირისპირებდა და მწვანე შუქი მივცეთ ყოველივე იმას, რაც გაგვაერთიანებს, ძალას შეგვმატებს.

განსაკუთრებით უნდა შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება არამარტო ერთმანეთთან, არამედ ჩვენს სამშობლოში არსებულ ყველა ძალასთან, რომელიც ქვეყნისა და ხალხის უმაღლესი მისწრაფებებითა და ინტერესებით ცხოვრობს და მუშაობს.

ჩვენ გვინდა არა კონფრონტაცია, არამედ აქტიური თანამშრომლობა საქართველოს ხელისუფლებასთან და მასთან ერთად გადავწყვიტოთ ერისა და ქვეყნის დღევანდელი ცხოვრებისა და მომავლის პრობლემები და საკითხები.

ყველა ჩვენი ძალები და შესაძლებლობები მოვახმაროთ ერთ მიზანს — სამშობლოს მთლიანობისა და ერის ერთიანობის მიღწევას, საქართველოს იურისდიქციის აღდგენასა და გამტკიცებას მთელ მის ტერიტორიაზე. აი რა არის დღეს მთავარი საზრუნავი.

ჩვენ კონკრეტული საქმეებით ვხედავთ, რომ ამ უდიდესი და უპირველესი ამოცანით არის დღეს განმსჭვალული საქართველოს ხალხისა და მისი ხელმძღვანელობის ძალისხმევა, ქვეყნის შიგნითაც და მის გარეთაც და გვჯერა, რომ იგი სასურველ შედეგებს მოგვცემს და წარმატებით დაგვირგვინდება.

ამის გარანტიად მიგვაჩნია არა მარტო მთელი საქართველოს შესაძლებლობათა გაერთიანება, არამედ ის მხარდაჭერა და თანადგომა, რასაც იჩენენ ამ ბოლო დროს რუსეთის ფედერაცია და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფოების ოფიციალური წრეები, ევროკავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი უშიშროების საბჭო.

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენო თანამემამულენო!

ჩვენი გაერთიანების სურვილს და, რაც მთავარია, მის მიღწევას, დარწმუნებული ვართ, თანაგრძნობით, მოწონებითა და მხარდაჭერით აღიქვამს ყველა ხიზანი, ყველა ლტოლვილი, მთელი ხალხი.

ქვეყნის ყველა მოქალაქეს, მის ყველა დამცველს, ყველა პარტიას, საზოგადოებას და მოძრაობას, ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელს მოვუწოდებთ გავერთიანდეთ ერთი პატრიოტული მიზნით — დავიბრუნოთ და აღვადგინოთ აფხაზეთი, ვაშენოთ ერთიანი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველო!

ამ დღეებში, როცა ჩვენმა სამშობლომ მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული — 26 მაისი ახალი შემართებით აღნიშნა, ხოლო საქართველოს რიგმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა „ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის დეკლარაციას" მოაწერეს ხელი, ასეთი სურვილი და მოწოდება უფრო მეტ აქტუალობას და მნიშვნელობას იძენს, მხარდაჭერასა და შესრულებას მოითხოვს.

ჩვენი მთელი ენერგია, ძალა და უნარი, ჭკუა და გონება — ამ ამაღლებული და უკეთილშობილესი მიზნების მიღწევას, ჩვენო თანამემამულენო, აფხაზეთისა და მთელი საქართველოს შვილებო!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

ქ. თბილისი.

1994 წლის 30 მაისი.

ლექსის დაწერა დიახაც შეიძლება ჭრაქის შუქზე (რასაც მშვენივრად ახერხებდა ვაჟა), მაგრამ იგივე ლექსი ვერ დაისტამბება, თუ არ გვექნება ელექტროენერგია, ვერ იმუშავებს მრეწველობა და ტრანსპორტი, გამოირთვება წყალსაქაჩები, არ გათბება სახლები, არ გამოცხვება პური, ვერ განიკურნება ავადმყოფი, დადუმდება ტელევიზია. სამწუხაროდ, ასეთი პრაგმატული რეალობა გახდა საჭირო იმისათვის, რომ დაგვენახა ენერგეტიკული, საქართველოს პირობებში უპირატესად ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის სასიცოცხლო აუცილებლობა.

ელექტროენერგია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მითუმეტეს, დღევანდელი საქართველოსთვის, საარსებო მნიშვნელობის ფენომენია.

როგორია სპეციალისტთა მოსაზრებები? — მოდით, გულდასმით გავეცნოთ ამ ორ სტატიას, გულზე ხელი დავიდოთ და კიდევ ერთხელ ვთქვათ: მართლაც არ არსებობს დიდი და პატარა პრობლემა (პოლიტიკურით დაწყებული და ეკოლოგიურით დამთავრებული), როდესაც საქმე სახელმწიფოს, ქვეყნის, მისი მომავლის, უპირველეს ყოვლისა, კი, სახალხო მეურნეობის გადარჩენის შანსს ეხება...

როცა „გიგანტი" არ არის გიგანტი

მარტივი ენით გავაანალიზოთ ჩვენი ყოფიერების ეს მხარე.

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. ზღვის, მტკნარი და მინერალური წყლების სიუხვე მათი წყალსამეურნეო და კომერციული გამოყენების დიდ პერსპექტივებს იძლევა. ამ წერილში შევეხებით მტკნარი წყლის მთავარი მარაგის — მდინარის ჩამონადენის განუზომელი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მხოლოდ ჰიდროენერგეტიკულ ნაწილს.

ენერგეტიკული უზრუნველყოფის ჰიდროენერგეტიკული მიმართულების პრიორიტეტულობა, ვფიქრობ, აზრთა სხვაობას არ უნდა იწვევდეს: ატომურ-ენერგეტიკული მშენებლობა ჯერჯერობით ჩვენთვის მიუღებელია. თბოელექტროსადგურების გაუძღომელი მადის დაკმაყოფილება საქართველოს საწვავის მოკრძალებული რესურსებით შეუძლებელია, გარედან მათი შემოზიდვა კი უზომოდ ძვირი დაგვიჯდება. ამ საქმეში ქარის, მზის, ზვირთცემის ენერგიის მოხმარება მნიშვნელოვან როლს ვერ შეასრულებს. მადლობა ღმერთს, ბუნებამ უხვად დაგვაჯილდოვა წყალუხვი დიდქანობიანი მდინარეებით: რესპუბლიკის 1 კვ კილომეტრი ტერიტორიიდან წამში 24,4 ლიტრი მდინარის წყალი ჩამოედინება, ამ მონაცემით საქართველოს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირველი ადგილი უჭირავს.

თუ ასეა, მაშინ ჰიდროენერგეტიკის განვითარების აუცილებლობის საკითხი ჩვენში 80-იანი წლების ბოლოს რატომ გადაიქცა ლამის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ მიზნობრივ პრობლემად? ვფიქრობ, ამის ძირითადი მიზეზია პოპულისტური პოლიტიკური თვითმიზნები, პროვინციული პატრიოტიზმი, მწვანეთა არაკონსტრუქციული (რბილად რომ ვთქვათ) პოზიცია, ხალხის დაბალი „ენერგეტიკული" განათლებულობა, იმჟამინდელი მთავრობის მფრთხალი, დამყოლი პოლიტიკა.

გავაანალიზოთ ის ობიექტური არგუმენტები, რომლებსაც ეყრდნობოდა ჰიდროენერგეტიკის მოწინააღმდეგეთა „ინტელექტუალური" ნაწილი: 1. შეცდომები, რომლებიც ახლავს ჰიდრომშენებლობას; 2. გარემოზე ჰიდროკვანძების სპეციფიკური გავლენა.

ჰიდრომშენებლობის მოძულეთაგან ვინმე თუ დაგვისახელებს ყოფიერების რომელიმე დარგს, რომელიც ყოველმხრივი პოზიტიურობით ხასიათდება, მაშინ მან ქვა ცოდვილ ჰიდრომშენებლებსაც გვესროლოს. საკითხავია, რატომ არავის გახსენებია და განგაში არ აუტეხია თბილისის გარშემო უსახური მასივების მშენებლობის გამო (მარტო დიდი დიღმის სავარგულების განადგურება რად ღირს!), არავის გამოუცხადებია შიმშილობა თუ დაუმორჩილებლობა ყოვლად გაუმართლებელი დემოგრაფიული ხინათმონაცვლეობის საწინააღმდეგოდ (რას დაემსგავსა თბილისი!). სოფლის მეურნეობის უსუსურობამ მიგვიყვანა ვაზების გაჩეხვამდე, ჩაის გადაჯიშებამდე... ლოჯომანიამ შეიწირა თბილისის არქიტექტურა და გამწვანება, რომელი ერთი შეცდომა დავასახელო?!

ამის გახსენება იმიტომ დამჭირდა, რომ ჰიდრომშენებლობის შესაძლო შეცდომები არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება ამ დარგის ფაქტობრივი დასამარების ობიექტურ არგუმენტად. პირიქით, ცნობილია, რომ ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხარისხი თუ საიმედოობა რანგობრივად აღემატება მშენებლობის სხვა დარგებს. ქართველ ჰიდროტექნიკოსთა სკოლა მსოფლიოშია ცნობილი.

2. რაღა თქმა უნდა, გარემოზე ზემოქმედება ჰიდრომშენებლობის განსაკუთრებულობის ერთ-ერთი ნიშანია. მაგრამ საოცარია, რატომ ვლაპარაკობთ მხოლოდ ნაკლოვანებებზე და არაფერს ვამბობთ იმ უაღრესად დადებით სოციალურ, ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ ეფექტებზე, რაც უცილობლად თან სდევს მიზანშეწონილ და ბალანსში ეკოლოგიურად დასაბუთებულ წყალსამეურნეო მშენებლობას? მხედველობაში მაქვს შედარებით იაფი ელექტროენერგია, ჭარბი ენერგიის ექსპორტული შემოსავლები, მელიორაციისა და წყალმომარაგების გაფართოება, საყოფაცხოვრებო დონის თვისებრივი ამაღლება, თევზის მეურნეობის ორგანიზაცია, წყალსაცავებთან დასვენების და საწყლოსნო სპორტის განვითარება და სხვა.

მოდით დავსვათ კითხვა: არსებობს კი დარგი, რომელსაც არა აქვს ნეგატიური ეკოლოგიური გამოვლინება? რატომ არ ვკრძალავთ გზათა მშენებლობას, განა რკინიგზისა და საავტომობილო ვაკისების ქვეშ ნაკლები მიწა იკარგება, ვიდრე წყალსაცავებში? გავაჩეროთ ავტოტრანსპორტი, ის ხომ ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს დაბინძურების აღიარებული ლიდერია. გავაუქმოთ მრეწველობა, წარმოების ნარჩენებმა აავსო ჰიდრო-და ლითოსფერო.

რატომ არ ჩანს ლიდერი პარტია, რომელიც საქმიანად წარმართავს ერის ეკოლოგიურ სწავლებას, განა ძნელი დასანახია, რომ ქვეყანა ერთიან ნაგავსაყრელს დაემსგავსა? პასუხი ამ კითხვებზე ასეთია: რა თქმა უნდა, ამ და სხვა დარგების „ეკოლოგიური უმსგავსობა" ყველასთვის ნათელია. მაგრამ საქმე ის არის, რომ მათ მხარეს არიან მოხელე-ბიუროკრატები, საქმოსნები, უბინაობითა და უტრანსპორტობით შეჭირვებული ხალხი და შეუვალი ოპოზიციონერები, რომლებთან შებმა დიდ ძალისხმევას, დროს, მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს. ჰიდრომშენებლობას კი, ფაქტობრივად, დამცველი არავინა ჰყავს. ის შესამჩნევად აღემატება სხვა საინჟინრო ნაგებობებს, იკავებს დიდ ტერიტორიას, ბევრად უფრო „თვალსაჩინოა", ადვილია მისი საწინააღმდეგო „პატრიოტული არგუმენტების" მოძებნა (მაგალითად, ძირავენ ქართულ მიწას, სვანეთში ტენიანობამ ისე აიწია, რომ საშიში გახდა ჯანმრთელობისათვის, გაუარესდა კლიმატი, იღუპება ანანურის ციხე...).

სამწუხაროდ, კაცობრიობამ ჯერ ვერ გამონახა მეთოდები ისე ვიღვაწოთ, რომ არ გავჭრათ ქვაბული, არ გავთხაროთ არხი, არ მოვჭრათ ხე, არ დავხარჯოთ წყალი... ანუ არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას. ქირურგიაც ხომ სხეულის გაკვეთით იწყება!

ახლა შევეცდები შედარებით „შემტევი დასაბუთებით" განვიხილო წერილში დასმული საკითხები.

უპირველესად, მართალია თუ არა ჩვენი ოპონენტების მტკიცება, რომ საქართველოში თურმე შენდება „გიგანტური" ჰიდროკვანძები. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ჩვენში არ არის და არც შეიძლება იყოს „გიგანტური" წყალსაცავები. მსოფლიოში არსებული კლასიფიკაციით მიღებულია წყალსაცავების ექვსი კატეგორია: განსაკუთრებით დიდი (გიგანტური), ძალიან დიდი, დიდი, საშუალო, პატარა, მცირე. საქართველოში უპირველესი ენგურის წყალსაცავის მოცულობა 1,11 კუბური კილომეტრია და ოდნავ აღემატება საშუალო კატეგორიას; წყლის შეტბორვის ფართობით (13,31 კვადრატული კილომეტრი) პატარა წყალსაცავებს მიეკუთვნება. თუ იმასაც დავძენთ, რომ ჩვენში აშენებული 25 საგულისხმო ჰიდროსადგურიდან 14 წყალსაცავიანი, მათ შორის კი მნიშვნელოვანი მოცულობის მხოლოდ ოთხია (ენგური, ჟინვალი, ხრამი, სიონი), ნათელი გახდება ამ „ბრალდების" უსაფუძვლობა.

[illegible] ჩვენი სანაქებო „გიგანტი" ენგურიც მოცულობითა და დატბორვითი მაჩვენებლებით ვერაფერი შვილი ყოფილა. მაშ რითია ის საამაყო და თვალსაჩინო? იმით, რაც ბუნებით არის ნაბოძები: დიდი კაშხლისმიერი დაწნევით, ანუ წყალსაცავის სიღრმით, რითაც ის პირველ კატეგორიას მიეკუთვნება (განსაკუთრებით ღრმა წყალსაცავები).

ვთქვათ, დაგარწმუნეთ, რომ „გიგანტომანიაში" ბრალი არ მიგვიძღვის. მაშინ ალბათ იმაში ვართ დამნაშავე, რომ ბევრი ჰესი ავაშენეთ, დავაქციეთ საქართველოს გარემო, ჩვენი ქვეყანა ხომ მცირეტერიტორიანია.

მივმართოთ ისევ უცხოურ მონაცემებს: ავსტრიაში, რომლის ფართობია 83,8 ათ. კმ², წყალსაცავების რაოდენობა 70-ია, წყალსაცავების საერთო მოცულობა — 2,12 კმ³, ალბანეთში შესაბამისად — 28,7 (21)—3,62, ბულგარეთში — 110,9 (82)—5,84, დიდ ბრიტანეთში — 244,1 (297)—5,13, საბერძნეთში — 131,9 (12)—10,76; ესპანეთში — 504,7 (386) — 44,04, იტალიაში — 301,2 (325) —9,74, ჰოლანდიაში — 36,6 (12) —10,43 და სხვ.

შეადარეთ, ბატონებო, ჩვენი ჰიდროელსადგურების წყალსაცავების შესაბამისი მონაცემები: ქვეყნის ფართობი შეადგენს 69,5 ათას კვადრატულ კილომეტრს, წყალსაცავების რაოდენობა — 14, წყალსაცავების საერთო მოცულობა — 2,5 კუბური კილომეტრი. თუ ამას დავუმატებთ, რომ ამ წყალსაცავებს რეალურად დაახლოებით ქვეყნის მხოლოდ 0,1 პროცენტი უკავია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველებს ევროპელებზე მეტად ყვარებიათ საკუთარი მიწა.

თვალებში შევხედოთ სიმართლეს: რა სიკეთე მოგვიტანა, მაგალითად, ხუდონჰესის ან ჩრდილოეთის გაზსადენის ბოლო უბნის მშენებლობის ძალისმიერმა აღკვეთამ? არაფერი, საზიანო კი — უამრავია. ამ სადგურს აშენებდა საბჭოთა კავშირი. პირველი რიგის სამუშაოები ადრევე მოესწრებოდა და ძვირფას საჩუქრად შეგვრჩებოდა (ახლა ჩვენი ძალებით თვალსაჩინო ჰიდროკვანძის მშენებლობაზე ოცნებაც კი ზედმეტია). თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ყოფა, განმარტებას აღარ საჭიროებს, მაგრამ იქნებ ეს აღკვეთები ჩვენს ბუნებას მაინც წაადგა რამეში? არამც და არამც! ენერგეტიკული დეფიციტის გამო უკონტროლოდ იჩეხება უნიკალური ტყეები, ბიძგი მიეცა მეწყრულ მოვლენებს, დაჩქარდა ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია, ბარბაროსულად დაიხვრიტა ნავთობსადენები, დაბინძურდა მიმდებარე ტერიტორია.

საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ურემი გადაბრუნებაზეა. გზა, საბედნიეროდ, გამოჩნდა. ეს არის ცნობილი იდეა: პური ხაბაზმა უნდა გამოაცხოს. გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი სამშობლო უკვე დამოუკიდებელი ქვეყანაა, გონივრულად გამოვიყენოთ რეალურად არსებული ინტელექტუალური და ბუნებისმიერი რესურსები იმისათვის, რომ შთამომავლობამ მაინც მოიწიოს ჩვენი შრომის ნაყოფი. გვჯეროდეს, რომ „ტექნოკრატებს" ისევე უყვართ თავისი ქვეყანა, როგორც ფილოლოგებს, მსახიობებს, ბიოლოგებს... დროა ვენდოთ და ვაცადოთ ერთმანეთს. მახსენდება ექსპრეზიდენტის ვიზიტი ჟინვალჰესში და მისი „მიუკერძოებელი" კომენტარი: ჰიდრომშენებლობის საკითხი სპეციალისტების გადასაწყვეტია, მაგრამ, ჩემი აზრით, საქართველოში წყალსაცავიანი ჰესები არ უნდა აშენდეს. ამ ჰიდროკვანძის „მოძულეთა" ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ შეტბორილი წყალი დააზიანებს ანანურის კომპლექსს. ჯერ ერთი, წყლის მაქსიმალური დონის შემთხვევაშიც კი ნაგებობის ძირი 8 მეტრით მაღლა რჩება; მეორეც, რომც არსებობდეს წყალთან დაკავშირებული საინჟინრო პრობლემა, ხომ ცნობილია მისი გაუვნებლობის მეთოდები (ბატონებო, ვენეცია მთლიანად წყალშია!).

საქართველოში ყველა პოლიტიკოსობს, იძლევა „ენერგეტიკულ" რჩევებს. ეს ის დარგებია, რომლებიც თურმე არ საჭიროებენ შესწავლას, პროფესიულ განათლებას, პრაქტიკულ ჩვევებს, გამოცდილებას. ამ საქმეში ყველა ბრძენია! ნებისმიერი პროფესიის ადამიანს (გარდა ჰიდროტექნიკოსისა) საშური შემტევობით შეუძლია ამტკიცოს, რომ ქვეყნის გაჭირვებას უშველის მცირე ჰიდროსადგურები. ბატონებო, იქნებ გვითხრათ, რა მაჩვენებლებით ახასიათებთ მცირეს, საშუალოს თუ დიდს? როგორ გგონიათ, თქვენ რომ დაგიჯეროთ (და შესაძლებელიც იყოს), რამდენი ასეული „მცირე" ეყოფა, ვთქვათ, მარტო ხაშურის საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ელმომარაგებას? გვირჩიეთ, როგორ შევკრიბოთ კიდევ სხვა ასეული „მცირეების" ენერგია, რომ ვამუშაოთ მეტრო, როგორც გარემოს უკომპრომისო ქომაგებმა, მითხარით, მაგალითად, ჟინვალის ტოლი ჰიდროკვანძი უფრო მეტ ზიანს მოუტანს ბუნებას, თუ ჯამში ეკვივალენტური სიმძლავრის ასობით „მცირე"? რა გვეშველება ზაფხულის მიწურულს, შემოდგომაზე, ზამთარში, როცა პატარა მდინარეებში წყალი მკვეთრად კლებულობს, იშრიტება, „მცირეებს" კი წყალსაცავები არა აქვს?

სანამ პასუხებს მივიღებდე, დაგამშვიდებთ, რომ საქართველოში ელექტროენერგიის ყველა წყარო მისაღებია, მაგრამ განსჯა, პრიორიტეტების შერჩევა თუ სხვა პრობლემები ჰიდროენერგეტიკოსებისა და ჰიდროტექნიკოსების საქმეა. მერწმუნეთ, რაც უფრო მეტი გვექნება ელექტროენერგია, მით უფრო ძლიერი ვიქნებით ეკონომიკურად და პოლიტიკურად, ყოველმხრივ მივხედავთ და მოვუვლით გარემოს. ამ აღმავლობაში ლომის წილი უნდა დაეკისროს ჩვენთვის უხვად მომადლებულ ჰიდრორესურსებს.

ლადო მაღლაკელიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

* * *

ელექტროენერგეტიკა: როგორ ვუშველოთ საქართველოს?

რატომ ბჟუტავს ნათურა?

ენერგოდაზოგვას საქართველოსათვის საარსებო მნიშვნელობა აქვს. ამ პრობლემის გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის დღევანდელი კრიზისიდან გამოყვანა. თუ საკითხი ისე ვერ გადაწყდა, როგორც საჭიროა, რესპუბლიკის ენერგოუზრუნველყოფის პრობლემა აუნაზღაურებლად შთანთქავს ჩვენს ფინანსურ, მატერიალურ და ბუნებრივ რესურსებს, კიდევ უფრო გააჩანაგებს ეკონომიკას. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ფაქტს: 1993 წელს რესპუბლიკის მთელი იმპორტის ღირებულების 83 პროცენტი სწორედ სათბობ-ენერგეტიკულმა რესურსებმა შთანთქა.

საკუთარი რესურსებით მოთხოვნილების 10 პროცენტს ვერ ვაკმაყოფილებთ. მხოლოდ შემოტანილ გაზსა ვხმარობთ. ასევე შემოგვაქვს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ძირითადი, ხოლო ნახშირისა და ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

თითქოს ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობით და რაციონალურ გამოყენებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლეოდეს, მაგრამ პირიქით ხდება.

1988 წელს, როცა სამრეწველო წარმოება შედარებით განვითარებული იყო, საქართველოში ტონა თუჯის წარმოებისათვის, იხარჯებოდა 662 კილოგრამი პირობითი სათბობი, როცა, ანალოგიური მაჩვენებელი გერმანიაში 530 კილოგრამს უდრიდა.

ჩვენი 100-ვატიანი ელვარების ნათურა იძლევა ისეთსავე განათებას, როგორსაც გერმანული 14-ვატიანი. ჩვენს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ნავთობის გადამუშავების სიღრმე დაახლოებით 80 პროცენტია. დასავლეთში კი — 90 პროცენტი. ენერგეტიკული რესურსების უსარგებლო დანაკარგების ორი მესამედი თანაბარწილად მოდის მრეწველობაზე, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობასა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო სფეროზე. ჩვენთან მოქმედი ავტომობილები და თვითმფრინავები (ერთეულზე გადაანგარიშებით) 30-35 პროცენტით მეტ საწვავს ხარჯავს, ვიდრე მოწინავე საზღვარგარეთული. მანქანათმშენებლობასა და მეტალურგიაში არსებული ღუმელების მარგი ქმედების კოეფიციენტი 12, დასავლეთში კი ანალოგიური მაჩვენებელი 40-60 პროცენტია.

საქართველოში წარმოებული ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა თითოეულ მანეთზე 1990 წელს უდრიდა 1,76 კილოგრამს, როცა ეს მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 1 დოლარზე გაანგარიშებით აშშ-ში 0,6, ხოლო ბრიტანეთში — 0,57 კილოგრამს შეადგენდა. ბოლო ათი წლის განმავლობაში ამ ქვეყნებში პროდუქციის ენერგოტევადობა 20-25 პროცენტით შემცირდა. საქართველოში კი მარტო ბოლო ორ წელიწადში იგი 3,1 პროცენტით გაიზარდა.

აღნიშნული გარემოება მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზით არის განპირობებული. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენთან, როგორც წარმოების სფეროში, ისე არამწარმოებელ დარგებში მეტად ნელა მიმდინარეობს ტექნიკური პროგრესი. გამოიყენება თითქმის ამორტიზებული ტექნიკა, ჩამორჩენილი ტექნოლოგიები. საწარმოებში მოქმედებს ენერგორესურსების ხარჯვის მოძველებული და არარეალური გადიდებული ნორმები, ამასთან, ისინი ხშირად დაუსაბუთებლად იზრდება კიდეც. სათბობისა და ენერგიის დიდი დანაკარგებია მათი მოპოვების, გადამუშავების, წარმოებისა და დამზადების პროცესში. ვერ ვიყენებთ მეორეულ რესურსებს და ენერგიის არატრადიციულ წყაროებს. საწარმოებში ბატონობს სუსტი ტექნოლოგიური დისციპლინა და დაბალი საწარმოო კულტურა.

ენერგორესურსების დაზოგვის საქმეში დიდია მეცნიერულად დასაბუთებული ფასის როლი. მართალია, ბოლო წლებში ჩვენთან ენერგიამემცველებზე ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა და იგი თანდათან უახლოვდება მსოფლიო ფასებს, მაგრამ საკითხი კომპლექსურად არ წყდება. საჭიროა ენერგორესურსებზე ფასების არა უბრალო ლიბერალიზაცია, არამედ იგი უნდა შევუსაბამოთ ბუნებრივ რესურსებსა და სამომხმარებლო საქონელზე, მსოფლიო საბაზრო ფასებს. ცხადია, ენერგორესურსებზე ფასების გაზრდა თვითმიზანი არ არის. მხოლოდ საჭიროა, არ დავუშვათ საერთო ტენდენციებიდან მათი გადახრა. სინამდვილეში კი ჩვენთან პროდუქციის სხვა სახეებზე ფასები გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ენერგომემცველებზე. ელექტროენერგიაზე ძველად არსებულ ტარიფებთან შედარებით 1993 წლის სექტემბრის ბოლოს ფასი დაახლოებით 55-ჯერ გაიზარდა, როცა ანალოგიური მაჩვენებელი ტელევიზორზე 100-ს უდრიდა, საპონზე — 850-ს, ფეხსაცმელსა და შაქარზე — 1000-ს, ასანთზე — 1200-ს და ა. შ. უნდა შეიცვალოს მრეწველობისათვის ელექტროენერგიის მაღალ ფასებში მოყიდვის ჩვენთან არსებული გაუმართლებელი ტენდენცია. მეტ მხარდაჭერას საჭიროებს, დარგი, სადაც იქმნება ეროვნული შემოსავლის ძირითადი ნაწილი და რომლის გამართულ მუშაობაზე ფაქტობრივად დამოკიდებულია რესპუბლიკის ახლანდელი კრიზისიდან გამოყვანა.

მოსახლეობისთვის შეღავათიანი ტარიფების დაწესება კი, რაგინდ პარადოქსულიც უნდა იყოს, საბოლოოდ, გარკვეულწილად, მაინც უარყოფითად მოქმედებს თვით მოსახლეობაზე. მრეწველობისთვის გაზრდილი ტარიფების დაწესება კი მნიშვნელოვნად ზრდის ამ დარგის პროდუქციის თვითღირებულებას, რის შემდგომ, მოსახლეობა უფრო ძვირს იხდის სამრეწველო პროდუქციის, სახელდობრ, მოხმარების საგნებში.

ენერგოდაზოგვა სახელმწიფო მნიშვნელობისაა. მას სახელმწიფოდან საკანონმდებლო მხარდაჭერა სჭირდება. ამიტომ, რესპუბლიკის პარლამენტმა, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა მიიღოს კანონი სათბობისა და ენერგიის დაზოგვის შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ენერგოდაზოგვის პრინციპულად ახალი პოლიტიკის რეალიზაციის აუცილებელი სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმი.

დრო არ ითმენს. ენერგოდანიავება, სადაც ეს შესაძლებელია, დღესვე უნდა აღიკვეთოს. ამიტომ, გეზი უნდა ავიღოთ ორგანიზაციულ და სწრაფად რეალიზებად ტექნიკურ ღონისძიებებზე. ამ მიმართულებით შესამუშავებელია სპეციალური პროგრამა კონკრეტული მომხმარებლის ჩვენებით. მასში უპირველესად, გასათვალისწინებელია მომხმარებლის ენერგომეურნეობის ექსპლუატაციის ხარისხის გაუმჯობესება, ენერგომოხმარების რეგულირებისა და აღრიცხვის ხელსაწყოების დაყენება, ნაგებობების თბოიზოლაცია, მომუშავეთა ეკონომიკური სტიმულირება და სხვ.

სათბობისა და ენერგიის დაზოგვის კანონში აუცილებელია, გავითვალისწინოთ მკაცრი ეკონომიკური სანქციები პროდუქციის (სამუშაოს) ერთეულზე ენერგიის გადახარჯვისათვის, ხოლო ენერგორესურსების უნაყოფო ხარჯვისათვის მომხმარებლები უნდა დაჯარიმდნენ მრავალჯერადი ზომით. მიღებული სახსრები შეიძლება გამოვიყენოთ თვით ენერგოდაზოგვის სტიმულირების, ენერგეტიკული ობიექტების რეკონსტრუქცია-განვითარებისათვის.

თანამედროვე ეტაპზე (გარდამავალ პერიოდში) ენერგოდაზოგვისათვის ეკონომიკურ ბერკეტებთან ერთად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ადმინისტრაციული მეთოდებიც. მაგალითად, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მიეცეს ენერგომოხმარების ლიმიტირების უფლება. ასეთი ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც უყაირათოდ იყენებენ ენერგორესურსებს. დადებითი შედეგის მიუღებლობის შემთხვევაში ხელისუფლების ორგანოებს უნდა შეეძლოთ ნაწილობრივ ან მთლიანად შეუწყვიტონ ენერგომიწოდება ამ მომხმარებლებს და დასვან საკითხი ასეთი საწარმოს ფუნქციონირების მიზანშეწონილობის შესახებ.

კანონში აუცილებელია გავითვალისწინოთ სანქციები [illegible] გადამხდელების მიმართ. ენერგოსარგებლობისათვის ანგარიშები დაუყოვნებლივ გადასახდელია. ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით კი ახლა ენერგომემცველებით სარგებლობისათვის საფასურის გადახდაში სრული განუკითხაობაა. ამის შედეგად, უწინარესად, ზარალდება ენერგეტიკული ობიექტები. ეს განსაკუთრებით ეხება „საქენერგოსა" და „საქგაზის" დეპარტამენტებს. 1993 წლის აგვისტოს ბოლოსათვის „საქენერგოს" ამის გამო, 18 მლრდ კუპონის დებიტორული დავალიანება ჰქონდა. თვით „საქენერგოს" კი ამ დროისათვის „საქგაზისა" ერიცხებოდა 11 მლრდ კუპონი კრედიტორული დავალიანება.

სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანაა მომხმარებელთა მასობრივი აღჭურვა ენერგორესურსების ხარჯის აღრიცხვისა და საკონტროლო ხელსაწყოებით. მდგომარეობა რესპუბლიკაში ამ მხრივაც არადამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით ეს ეხება გაზის მრიცხველებსა და თბოხელსაწყოებს. იმის გამო, რომ არ არის გაზის სათანადო მრიცხველები, ნაკლები ყურადღება ეთმობა მის ყაირათიან ხარჯვას.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის მნიშვნელოვანი რეზერვები უნდა ვეძებოთ სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით მრეწველობის დარგებში. ამ უკანასკნელში ბოლო ორი წლის განმავლობაში (1990-1992 წ.) წარმოების მოცულობა 2,3-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიის საერთო მოხმარება მხოლოდ 32,3 პროცენტით შემცირდა.

ენერგოდაზოგვა ენერგეტიკის განვითარების კონცეფციის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. იმაზე, თუ როგორ ავითვისებთ ჩვენს ბუნებრივ ენერგეტიკულ რესურსებს, ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის დონე. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს მდიდარი ჰიდროენერგორესურსების, მათ შორის, მცირე მდინარეთა, აგრეთვე არატრადიციული წყაროების გამოყენებას. მათი გონივრული და მასშტაბური ათვისება ათასობით ტონა ორგანულ სათბობს დაგვიზოგავს. მაგრამ, აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო. ცხადია, ჩვენი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ტექნიკური შესაძლებლობის ათვისების ახლანდელი დონე მეტად დაბალია და იგი აუცილებლად უნდა გაიზარდოს, მაგრამ, დღევანდელ პირობებში, პრინციპულად მიუღებელია ის აზრი, რომ საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სიმძიმის ცენტრი მთლიანად ჰესებზე გადავიტანოთ. ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში ჰიდრორესურსების ათვისების გაცილებით მაღალი პროცენტია, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს მცირემიწიანობის პირობებში საბუთად ვერ გამოდგება; ამასთან, რაც მთავარია, ჰიდროენერგეტიკის განვითარების ბუნებრივი ფაქტორები საქართველოსა და იმ ქვეყნებში სულ სხვადასხვა ხასიათისაა.

მაგალითად, ნორვეგიაში, შვედეთსა და შვეიცარიაში, მდინარეებს გზადაგზა ხვდება გამთანაბრებელი ტბები, რომელთა უფრო ტევად წყალსაცავებად გადაქცევა, შედარებით ადვილია. საქართველოში კი იშვიათად იპოვით დიდი წყალსაცავის მოსაწყობად გამოსადეგ გაშლილ ადგილებს. მხოლოდ მაღალი კაშხლების აგებით შეიძლება ამ ხეობებში შედარებით ტევადი წყალსაცავების შექმნა. რაც შეეხება მცირე ჰესებსა და ენერგიის არატრადიციულ წყაროებს, უნდა ითქვას, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ორივე უნდა გამოვიყენოთ, ამით ორგანული სათბობის საგრძნობ ეკონომიას მივაღწევთ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამით დიდი პრობლემა ვერ გადაწყდება.

რესპუბლიკის საიმედო ელექტრომომარაგებისათვის აუცილებელია ჰესები აშენდეს საბაზო თბოელექტროსადგურებთან ერთად. საქართველოს ერთიც სჭირდება და მეორეც. ამიტომ, ძირშივე ცდებიან ისინი, ვინც თბოსადგურებში სათბობის სასარგებლო წვას ცეცხლში დოლარების უმიზნო ჩაყრას და დაწვას ადარებს. სწორედ სათბობის მომჭირნეობის კუთხით უნდა შეფასდეს ის დიდი და აუცილებელი სამუშაოები, რომლებიც რეკონსტრუქცია-გაფართოების მიზნით ტარდება თბილსრესში.

ენერგოდაზოგვა სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანაა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყანა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უყაირათო გამოყენებას უკვე დღეს და მით უმეტეს, მომავალში, ვეღარ გაუძლებს, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, ამ პრობლემის თანამედროვე დონეზე გადაჭრისათვის.

დემურ ჩომახიძე,
საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

მწვავე სიგნალი

[illegible] კიდევ შეიძლება საქმის შველა

უთუოდ კაბინეტებშიც უნდა შეაღწიოს შავმა ჭირმა, რომ, ვინც ჯერ არს, დაფაცურდეს?!

იმ მძიმე სანიტარიული სურათის აღწერას, რაც დღეს ჩვენს დედაქალაქს პეწსა და სილამაზეს უკარგავს, აღარ შევუდგები. პირდაპირ ვიტყვი, სანიტარიული ფონი ქალაქში იმდენად არის დამძიმებული, რომ უარესის გაფიქრებაც კი შეუძლებელია. განმკითხავი? განმკითხავი, იცოცხლეთ, ბევრია, მაგრამ პატრონი არ ჩანს. ხვალ და ზეგ უდავო კატასტროფაა მოსალოდნელი და ამის სიმპტომები უკვე არის: ღია ტუბერკულოზი, ბოტკინი, მუნი და სხვა ინფექციური დაავადებები უკვე, ასე ვთქვათ, მოედო ქალაქს. ახლა ქოლერა და შავი ჭირიღა გვაკლია ეჰ...

ნამდვილად არ ვაჭარბებ, ამას თქვენც იგრძნობთ, მაშინ მაინც, ათასგვარი მწერით, მღრღნელით, მაწანწალა ძაღლითა და კატით აფუთფუთებულ სახელდახელო სანაგვეებს რომ შეხედავთ (მათ სანახავად სულაც არ არის შორს წასვლა საჭირო, ალბათ, თქვენი საძინებელი ოთახიდანაც ჩანს), ან საკოლმეურნეო ბაზრებსა თუ ქუჩებში მზის გულზე გამოფენილ პროდუქტებს იყიდით. საღამოს კი სადარბაზომდე გაძვალტყავებულ ქუჩის ძაღლებს თუ დაუძვერით ხელიდან, კიბეზე დამშეული ვირთაგვა (უწინდელივით კორპუსის სანაგვე ბუნკერები დღეს შემწვარი გოჭის, სათალისა თუ სხვა დელიკატესების ნარჩენებით აღარ არის სავსე) აუცილებლად შეგეჩეხებათ წინ. ტყუილად გაირჯებით სახლმმართველობაში, ქალაქის მერიაში და უფრო ზემოთ ამ საკითხზე სიარულით. სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო, ხომ გაგიგონიათ, ამიტომაც სხვის იმედად ნუღა იქნებით. თავს თვითონვე უნდა უშველოთ. როგორ? სრულიად უბრალოდ. მართალია, ჩვენთან ახლა იარაღის ტარება აკრძალულია, მაგრამ აბჯარ-ჯავშნისა და აირწინაღის ჩაცმა ხომ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში მანამ, ვიდრე უბრალო მოკვდავთ ამასაც აგვიკრძალავდნენ?!...

ხუმრობა იქით იყოს და, ვითარება მართლაც საგანგაშოა. თურმე უდიდესი საფრთხის წინაშე ბედის ანაბარა ვართ მიტოვებულნი. ამას თბილისის სადეზინფექციო სადგურის მთავარი ექიმი ვიქტორ მოსიძეც ადასტურებს. ამ წერილის დაწერაც სწორედ რედაქციაში მისმა მოსვლამ და პრობლემის სერიოზულობამ გადამაწყვეტინა.

— კატეგორიულად ვაცხადებ: დღევანდელი თბილისის სანიტარიული მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ ეპიდემია იფეთქებს და მას ჩვენი სამედიცინო სამსახური ვერ გაუმკლავდება. ეს ქალაქის დაღუპვას ნიშნავს! — აღელვებულია ბატონი ვიქტორი.

— დღეს სკოლებში უკვე გამოჩნდა ბოტკინის, ღია ფორმის ტუბერკულოზის, მუნის დაავადებები, თუ ასე გულარხეინად მივუდგებით ამ საქმეს, როგორც აქამდე, ცოფს მალე ისეთი საკარანტინო ეპიდემიაც მოჰყვება, როგორიც არის ქოლერა, შავი ჭირი და მერე ველარაფერი გვიშველის.

ამჟამად ჩვენს სამსახურს, ქალაქის სადეზინფექციო სადგურს, ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება არ შეუძლია, უბრალო მიზეზის გამო — სადეზინფექციო შხამქიმიკატები არ გვაქვს. ბოლო წლების განმავლობაში, სადაც ხელი მიგვიწვდა, ყველგან ყელგამოწვდილი ვითხოვდით დახმარებას. სახელმწიფოს საკუთარი სახსრებით თუ არ შეეძლო ამ წამლებით ჩვენი უზრუნველყოფა, ეგებ ჰუმანური დახმარების გზით ნაწილობრივ მაინც გადაეწყვიტა ეს პრობლემა? ამის თაობაზე რამდენჯერმე მივმართე ვიცე-პრემიერს ირაკლი მენაღარიშვილს, ქალაქის მერს ნიკო ლეკიშვილს, სხვა დაბალ ინსტანციებს აღარ ვახსენებ.

სამწუხაროდ, მათ მრავალი მიზეზის გამო, ვერ შეძლეს ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილება. თუმცა, ქალაქის მერიას აქვს ვალუტა (ჩვენ ქალაქში ვითარების გამოსასწორებლად და წლის ბოლომდე სამუშაოდ 50 ათასი დოლარი მაინც გვჭირდება), მაგრამ იგი ჩვენი სამსახურისთვის არ არის გათვალისწინებული, რადგან, მისი აზრით, ჩვენ უპრესტიჟო, უმაქნის საქმეს ვაკეთებთ. წლების მანძილზე, ვიხვეწებით მილიონიან ქალაქში ერთი სპეციალური მაღაზია მაინც გაიხსნას, კაცმა თაგვისა და ტარაკანის წამალი რომ იყიდოს-მეთქი, მაგრამ...

ამას წინათ ჩინეთის საელჩოში ბოტკინი გაჩნდა. სადეზინფექციოდ ჩვენს ხელთ არსებული უკანასკნელი საშუალებები გამოვიყენეთ, რომ სათავსოები დაგვემუშავებინა. შემდეგ ამ შემთხვევით ვისარგებლეთ და ჩინეთის ელჩს ვთხოვეთ დახმარება. პასუხს ველოდებით, ასე სამოწყალოდ გვაქვს ხელი გაშვერილი. თუ აქამდე როგორღაც კიდევ ვახერხებდით მუშაობას, ესეც საერთაშორისო მაშველთა კომიტეტის წყალობაა, რომელმაც ჩვენთვის ადრე საგანგებოდ შეიძინა პრეპარატები. სხვა არავინ დაგვეხმარებია. თუმცა არსებობენ კერძო სტრუქტურები, რომლებსაც შეუძლიათ საჭირო წამლებით მოგვამარაგონ. ერთ-ერთია სააქციო საზოგადოება „ვესტი" (პრეზიდენტი — ნოდარ ბოლოთაშვილი), რომელიც მზად იყო საქართველოში წარმოებული რამდენიმე სახეობის ნედლეულის ბარტერული გაცვლის გზით უცხოეთიდან შემოეტანათ ისინი, მაგრამ...

არ დამიტოვებია ინსტანცია, რომ ჩვენთვის ეს ნედლეული მაინც გამოეყოთ. უშედეგოდ!

დღეს რესპუბლიკას უჭირს, ვერ გვეხმარება. ეს ჩვენც გვესმის, მაგრამ იმის უფლება მაინც მოგვცენ, რომ ჩვენი სამსახური კერძო სტრუქტურად გადაკეთდეს, გარკვეული დროის განმავლობაში მას და მის დამფუძნებლებს ნუ დაბეგრავენ, ბანკმა უპროცენტო სესხი მოგვცეს, საზღვარზე ჩვენს მიერ შემოტანილ პრეპარატებზე საბაჟო ასაკრეფს ნუ აიღებენ. მაშინ მე თვითონ მოვუვლი და პასუხსაც ვაგებ ქალაქში სადეზინფექციო სამსახურის მუშაობაზე.

სამსახურიდან ხალხი მასობრივად გარბის, ვერ ვასაქმებ. თანაც ოთხ-ხუთ ათას კუპონად ვინ მოიკლავს თავს შხამქიმიკატების თრევითა და ნაგავში ქექვით?!

ამ რამდენიმე თვის წინათ ქალაქში შექმნილი რთული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო გაზეთ „თბილისის" საშუალებით მივმართე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მწვანეთა პარტია და მისი ლიდერი, ბატონი ზურაბ ჟვანიაც საქმის კურსში ჩავაყენე. თანადგომა და დახმარება ვთხოვე. როგორ ფიქრობთ, რა შედეგი მოჰყვა მას? უბრალო თანაგრძნობაც არ გამოუხატავთ. თავი არავის შეუწუხებია. ისე კი, რომ ჰკითხოთ, დიდ საქმეს აკეთებენ. პარლამენტში ქვეყნის სატკივარით „გულდათუთქულები" ენამზეობენ. იმათებურად ეს არის საქვეყნო საქმე.

ბოლოს, როცა ყველა იმედი ამომეწურა, ვითარება კი ექსტრემალურია, ჯანდაცვის მინისტრს ვთხოვე სახელმწიფოს მეთაურისთვის ოფიციალური წერილით მიემართა და დახმარება ეთხოვა. წერილი 1994 წლის 4 თებერვალს შევიდა სახელმწიფოს მეთაურის აპარატში, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი მეთაურისთვის არ გაუცვნიათ და 18 აპრილს გადაუგზავნეს მინისტრთა კაბინეტს, რომელმაც, თავის მხრივ, ის განსახილველად მერიას გადასცა. მაისის ბოლოს მერიამ რეზოლუციადადებული წერილი უკანვე დამიბრუნა დავალებით, რომ მასში აღნიშნული ფაქტები შემესწავლა და ვითარების გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ მიმეღო გადამჭრელი ზომები: უდარდელობასა და ცინიზმსაც ხომ აქვს საზღვარი?! ამიტომაც მოვედი თქვენთან. იქნებ ამჯერად მაინც მივაწვდინო ხმა იქ, სადაც ჯერ არს.

მივმართავ ყველას: სახელმწიფოს მეთაურს, კერძო სტრუქტურებს, მოქალაქეებს, შეძლებულებს და ღარიბებს, ვისაც როგორ შეუძლია, დაგვეხმაროს სადეზინფექციო საშუალებების შეძენაში, რათა ქალაქში სანიტარიული ვითარება გამოსწორდეს, თორემ უდიდესი საფრთხის წინაშე ვდგევართ. როგორც სპეციალისტი, ხმამაღლა ვაცხადებ, რომ კატასტროფის წინაშე ვდგევართ. ბოლო თუ ეპიდემიამ იფეთქა, დაავადება მდიდარს და ღარიბს ერთნაირად დაერევა!

ამ სიტყვებს, ვფიქრობ, კომენტარი აღარ სჭირდება, გამგებმა უნდა გაიგოს, თუმცა, დღეს პრესას, როგორც ჩანს, მაინცა და მაინც დიდ ყურადღებას არავინ აქცევს, მაგრამ დადგება დრო, ცხოვრება დამშვიდდება და შთამომავლობა მათ, ვინც ყურად არ იღო საერთო სატკივარი, საკადრის პასუხს მოთხოვს!

შოთა მაჭარაშვილი.

კარიკატურისტის თვალით



ვახტანგ კუციას ნახატი.

გადავარჩინოთ ქართული მეცნიერება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება

წლევანდელი კრება სასიამოვნო მოვლენით დაიწყო — კოლეგებმა მიულოცეს, ხანგრძლივი სიცოცხლე და შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს, აკადემიის სახელით ადრესი გადასცეს აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს. მას ამ დღეებში 80 წელი შეუსრულდა.

— მეცნიერებათა აკადემიას უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში უხდება მოღვაწეობა, — თქვა შესავალ სიტყვაში მისმა პრეზიდენტმა ალეკო თავხელიძემ. მან ვრცლად ილაპარაკა აკადემიის ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლისგანაც ბევრადაა განპირობებული მეცნიერულ კვლევათა შემდგომი განვითარება, მეცნიერთა ყოფა-ცხოვრება. ახლა ლაპარაკი იმაზეა, დაასკვნა პრეზიდენტმა, რომ ყოველი ღონე ვიხმაროთ ქართული მეცნიერების გადასარჩენად.

საანგარიშო პერიოდში მეცნიერული კვლევის ძირითადი შედეგების და მეცნიერების შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ თავიანთ მოხსენებებში ილაპარაკეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებმა ა. აფაქიძემ, გ. სანაძემ, ი. ფრანგიშვილმა. აკადემიის პრეზიდიუმის 1993 წლის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა აკადემიკოსმა ლ. გაბუნიამ.

მანვე კრების მონაწილეებს გააცნო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელობითი პრემიებით დაჯილდოებულთა სია. კერძოდ, **ილია ვეკუას სახელობის პრემია მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს თამაზ ვაშაყმაძეს ნაშრომთა ციკლისათვის „მყარი დეფორმადი ფირფიტების მათემატიკური თეორიისა და შესაბამისი სასაზღვრო ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის შესახებ", არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს როგნედა ლამბაშიძეს (გარდაცვალების შემდეგ) ნაშრომთა ციკლისათვის „ლექსიკოლოგიურ-ტერმინოლოგიური ძიებანი", ა. თვალჭრელიძის სახელობის პრემია მიენიჭა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გიგი ჩივაძეს მონოგრაფიისათვის „საქართველოს ბუნებრივი ალუმოსილიკატები, როგორც კატალიზატორები და სარჩულები ორგანულ რეაქციებში", ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ალექსანდრე როიტბაკს (გარდაცვალების შემდეგ) მონოგრაფიისათვის „გლია და მისი როლი ნერვულ მოქმედებაში".**

შემდეგ გაიმართა კამათი. ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა ილაპარაკეს იმ პრობლემებზე, რომლებიც ასე მწვავედ დგას აკადემიის ინსტიტუტების წინაშე, აგრეთვე მათი დაძლევის კონკრეტულ გზებსა და საშუალებებზე.

აკადემიის წინაშე მდგარი პრობლემების გათვალისწინებით, და, რაც მთავარია, მუშაობის უფრო ეფექტიანად წარმართვის მიზნით, შემუშავებულია აკადემიის წესდების ახალი პროექტი. ნახევარი წლის განმავლობაში ინსტიტუტების დირექტორთა და წამყვან მეცნიერთა სამი ჯგუფი მუშაობდა ინსტიტუტების ახალი დებულების დამუშავებაზე, სადაც ძირითადი ყურადღება საპროგრამო დაფინანსებასა და საკონტაქტო სისტემაზე გადასვლის საკითხებზეა გამახვილებული.

კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც, კერძოდ, დაავალა აკადემიის პრეზიდიუმს თხოვნით მიმართოს საქართველოს მთავრობას, რათა დააფინანსონ გამოკვლევები გეოფიზიკის დარგში და მეცნიერთა საინფორმაციო ვაკუუმიდან გამოსვლის მიზნით ხელი შეუწყონ ელექტრონული ფოსტის მუშაობას.

საქმე ის გახლავთ, რომ ფინანსური გაჭირვების გამო საქართველოში არსებული სეისმური სადგურების მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. ამის გარეშე კი შეუძლებელია მიწისძვრის პროგნოზების და სხვა აქტუალური პრობლემების კვლევა. რაც შეეხება ელექტრონულ ფოსტას, იგი ახლა ერთადერთი საშუალებაა ქართული მეცნიერების მიერ მსოფლიო მეცნიერების სიახლეების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

ლამარა გაგუა.

ვეტერანები მწყობრში

დაჩქარდეს კანონი დიდი სამამულო ომის ვეტერანების შესახებ, ბოლო მოეღოს სამშობლოს წინაშე მათი დამსახურების, ფაშიზმის წინააღმდეგ ოთხწლიან ომში მათი წვლილის უგულებელყოფას; მეტი ზრუნვა ომის ვეტერანთა საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებას; ვიზრუნოთ დაღუპულ ვეტერანთა ხსოვნის უკვდავყოფის, სამშობლოსათვის თავშეწირულთა ხსოვნის წიგნის გამოცემისთვის. მრავალი ასეთი და სხვა [illegible] პრობლემები წამოიჭრა ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტის პლენარულ სხდომაზე. თუნდაც, ასეთი — მეტი ზრუნვა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, მჭიდრო კონტაქტი თავდაცვის სამინისტროსთან!

ეს საკითხები ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის, აკადემიკოს გიორგი ციციშვილის გამოსვლაში, მისი პირველი მოადგილის კარლო გარდაფხაძის ვრცელ მოხსენებაში, თავმჯდომარის მოადგილის ნიკო შველიძის სიტყვაში, კამათში გამოსულთა ნ. კალაძის, ა. აზიროვის, კ. უკლების, ირ. ციციშვილის, ვ. ბარათაშვილის და სხვათა გამოსვლებში იყო წამოყენებული.

ჩხუბის შემდეგ



ბოლო თვე ყველაზე მშვიდი როდი გამოდგა ჩემს ცხოვრებაში. მეგობრები და კოლეგები თანაგრძნობას მიცხადებენ: უცნობები და ისინი, ვისაც ვინაობის გამხელა არ სურს, მირეკავენ და მპირდებიან, მოგკლავთო; ფრთხილი ნაცნობები არჩევენ ურთიერთობა არ იქონიონ ჩემთან.

ჩემი პერსონისადმი ასეთი ყურადღების მიზეზი ის გახლავთ, რომ ერთი თვის წინათ საქართველოს პარლამენტის შენობაში, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა დააპირა ჩემთან ურთიერთობა მუშტი-კრივით გაერკვია. მე ილუზიები არა მაქვს დღევანდელ საქართველოში გამეფებული ზნე-ჩვეულებების მიმართ, სადაც მუქარა, ძალადობა და მკვლელობა ნორმად იქცა ყოველდღიურობაშიცა და პოლიტიკაშიც. მე იმდენად კარგად არ ვიცნობ ბატონ თენგიზ კიტოვანს, რომ დავიჯერო მისი და მისი მცველების მიერ წარმოთქმული მუქარის რეალობა. მაგრამ ძალიან მსურს გავიგო: რატომ მოხდა, რომ ამ კაცის ანტიპათია ჩემს მიმართ სწორედ ახლა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან ვერ შეძლო ან არ ისურვა მისი მოთოკვა?

ბოლო ორი წლის მანძილზე მე, როგორც ჟურნალისტს, არ შემეძლო გვერდი ამევლო ამ ფიგურისათვის — ეროვნული გვარდიის მეთაურის, თავდაცვის მინისტრის, სამხედრო საბჭოს წევრის, პარლამენტის წევრის, ზვიად გამსახურდიას უახლოესი თანამებრძოლისათვის. ეს ადამიანი ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში, რომლის მოქალაქეებიც ჩვენ ორივენი ვართ.

კიტოვანის ბიოგრაფიის გადმოცემისას საჭიროდ არ ჩავთვალე დამემალა, რომ ის წარსულში სისხლის სამართლის დამნაშავე იყო, მაგრამ არასოდეს დამიდანაშაულებია იგი მოხდილი სასჯელის გამო. ბრალი არ დამიდევს მისთვის, რომ იგი იყო მისი პატრონის — გამსახურდიას დამხობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ბოლოს და ბოლოს, ადამიანს უფლება აქვს თვალი აუხილოს. პრეტენზიები არ მქონია კიტოვანის ადამიანური ღირსებების მიმართ, მაგრამ პრეტენზიები მისი პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგებისადმი კი მქონდა.

მე უკან არ წავიღებ იმას, რასაც ვწერდი და ვამბობდი ბოლო ორი წლის მანძილზე. სამოქალაქო ომი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კიტოვანისათვის საკუთარი პოლიტიკური და ფინანსური საქმეების მოგვარების საშუალებად იქცა. თითქმის უკვე აღარ არსებული საქართველოს ეკონომიკის დანაშაულებრივ განაწილებას მისთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ამ ეკონომიკის აღდგენას. ის უპრინციპოა რუსეთთან დამოკიდებულებაში: დღეს რუსეთის იმპერიალიზმის საშიშროებაზე ლაპარაკობს და ამ დროშის ფრიალით სამხედრო საწყობებს ძარცვავს, ხვალ კი აცხადებს, რომ საქართველო მზად არის კავკასიაში რუსეთის ავანპოსტი გახდეს და გულთბილ ურთიერთობას ამყარებს ჟირინოვსკისთან. ის ყველაფერს აკეთებს, რომ ედუარდ შევარდნაძეს ქვეყანა დაატოვებინოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, გააქარწყლოს მისი ძალისხმევა...

... მაგრამ ყოველივე ეს კიტოვანს ადრეც მოუსმენია და წაუკითხავს. მაშ რატომ ვერ შეიკავა თავი სწორედ ახლა?

კეთილმოსურნენი და ავისმდომნი ერთხმად მთავაზობენ ასეთ ახსნას: კიტოვანის ემოციურობის გამწვავების მიზეზია ჩემი სტა[illegible] „რუსეთის ქართველები", რომელიც ექვსი თვის წინათ გამოქვეყნდა „მოსკოვსკიე ნოვოსტიში". მასში ლაპარაკი იყო რუსეთის ქართულ დიასპორაზე, მის ყველაზე ნათელ ფიგურებზე, მაგალითად, ნინო ანანიაშვილზე ანდა არჩილ გომიაშვილზე, ზურაბ წერეთელზე. როგორც მეუბნებიან, სწორედ ქართული წარმომავლობის ზოგიერთი მოსკოველის — კიტოვანის მეგობრებისა და პარტნიორების — საქმიანი და კულტურული აქტიურობის წვრილმანები გახდა ვნებათაღელვის ასეთი აფეთქების საბაბი. ჯობდა არ გექნა ეს, მეუბნებიან.

თავის მიმართ გამოხდომებს კიტოვანი ითმენდა, მაგრამ, როცა ხელყოფილია „ასეთ" ადამიანთა ინტერესები... უნდა მიხვდე ამას...

ვხვდები. არ ვაპირებ კიტოვანს ფილიპიკებით მივმართო: მუშტების ქნევას ისა სჯობს, პრეტენზიები სასამართლოს წარუდგინო-მეთქი. არც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს შევჩივლებ — მისი ურთიერთობა კიტოვანთან სულაც ჩემზე უბრალო არ არის. მე მხოლოდ ჩემი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულება შემიძლია: ვთქვა ხმამაღლა ის, რაც ნამდვილად ვიცი.

ალბათ, ბოლო სიტყვებს კიტოვანი მუქარად აღიქვამს. ამაოდ. მე არ „ვქექავ" და არ ვაგროვებ შემარცხვენელ მასალებს არც მასზე და არც სხვა მოღვაწეებზე. ჯერ ერთი, თავდაცვის ასეთი ხერხი არაფრით არა სჯობს ერთ კაცზე ექვსის თავდასხმას. მეორეც, ყველაფერი, რაც ვიცოდი, უკვე დავწერე და ვთქვი. მერე და რა? კიტოვანი როგორც იყო, ისევე რჩება საქართველოს ერთ-ერთ მეპატრონედ. მას ისევე იღებენ მოსკოვში, მაღალი თანამდებობის პოლიტიკოსები, როგორც ადრე ხვდებოდნენ. როგორც ადრე, ისე ახლაც გაჩუმებულია საქართველოში ყველა, აღიარებენ რა მძლავრის უფლებას. როგორი უცნაურიც უნდა იყოს, კიტოვანის ბედი და მისდამი დამოკიდებულება მე მომაგონებს საქართველოს ისტორიის მეორე „გმირს" — გენერალ იგორ როდიონოვს, რომელიც მეთაურობდა დემონსტრანტებთან ანგარიშის გასწორებას 1989 წლის 9 აპრილს. რამდენი მრისხანე სიტყვა ითქვა მის მიმართ, რამდენი დასაბუთებული ბრალდება გამოითქვა, ოფიციალური კომისიების რამდენი დასკვნა გაკეთდა, გენერალი როდიონოვი კი ძველებურად ხელმძღვანელობს რუსეთის არმიის გენშტაბის აკადემიას.

და მაინც, გვჯერა, რომ ანდაზა „ძაღლი ყეფს — ქარავანი მიდის" — ეს მხდალების ნუგეშია. ჩვენთან, როგორც ყველგან, პირველად იყო სიტყვა, მაგრამ ვიდრე იგი საქმედ იქცევა, მეტი დრო გადის, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

უნდა ვაღიარო, რომ მე და კიტოვანს ერთნაირი დამოკიდებულება გვაქვს ურთიერთისადმი, თანაც ანტიპათიებიც ერთგვაროვანია. კიტოვანი თვლის, რომ მე ჩემი პუბლიკაციებით ხელს ვუშლი მის გეგმებს. ისიც ასევე ხელს უშლის ჩემსას. არ ვაპირებ ვიცხოვრო იმ ქვეყანაში, სადაც სამოქალაქო ომია, სადაც მათხოვარი მეტია, ვიდრე მუშაკაცი, სადაც, ბოლოს, პარლამენტის წევრი მცველების დახმარებით სცემს ჟურნალისტებს. ბატონი კიტოვანი თავისი მოქმედებით ხელს უშლის ჩემს გეგმებს.

აკაკი მიქაძე.
„მოსკოვსკიე ნოვოსტი",
1994 წ. 22-29 მაისი.

მკითხველის თხოვნით

თენგიზ კიტოვანის საპარლამენტო განცხადება

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, საქართველოს პარლამენტის 31 მაისის სხდომაზე განცხადება გააკეთა პარლამენტის წევრმა თენგიზ კიტოვანმა. მართალია, ეს განცხადება ტელევიზიით გადაიცა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველამ ვერ მოახერხა მისი ნახვა.

დღეს გთავაზობთ ბატონ თენგიზ კიტოვანის განცხადების სტენოგრაფიულ ჩანაწერს.

ბატონებო! — მე დღეს ჩამოვედი მოსკოვიდან. მინდა ერთი რამ გითხრათ: გუშინწინ მოსკოვის საინფორმაციო სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია ჩვენთან ჩატარებულ ალბომზე, თითქოს ჩვენ დაქირავებული გვყავდა რუსის ჯარი, სამხედროები, ტანკები, რომლებსაც ჩვენმა მთავრობამ გადაუხადა 40 მილიონი. ეს ფაქტი რამდენად სწორია, მე არ ვიცი, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, საქართველოს აქვს თუ არა დღეს იმის თავი, რომ ერთხელ ჩაიაროს ტანკებმა და მათ 40 მილიონი გადაუხადოთ? ეს გასარკვევი საკითხია.

ეხლა მეორე საკითხი. მე მაინტერესებს მურმან ომანიძე როგორ ღებულობს მონაწილეობას სადეპუტატო არჩევნებში რუსთავის ოლქში. ეს კაცი თქვენ კარგად იცით, რა პიროვნებაც არის. მე ადრე მქონდა პატრიკეევთან ლაპარაკი, დღეს რომ გამოდიან და იცავენ ზოგიერთები, 80 მილიონს აძლევდა 12 ათასი ახალგაზრდის დასაბომბად. ეს ცნობილი ფაქტია. პატრიკეევი ცოცხალია დღეს და თქვენ კარგად იცით, კიდევ კარგი, პატრიკეევი ნამუსმა შეაკავა, რომ 12 ათასი ბავშვი არ მოკლა.

გარდა ამისა, ველაპარაკე გენერალურ პროკურორს და მაგის წინააღმდეგ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რაც არ არის დღეს დახურული. თუ ასეთი კაცი შეიძლება დღეს ჩვენს გვერდით იჯდეს, ძალიან საინტერესო ფაქტორია. როგორც პარლამენტარი მოვიდეს და დაჯდეს აქ, მე არა მგონია, იმათ, ვინც აქ არიან, მოინდომონ მის გვერდით ჯდომა. თქვენ ჩემზე უკეთ არ იცით, ეგ როგორ აპირებდა ჩვენს განადგურებას? არცერთი პარლამენტარი აქ არ იჯდებოდა, ის ათი ტანკი მე რომ არ ამეფეთქებინა, თქვენ კარგად იცით, ბატონო გოგა, რომელიც მიმართული იყო ჩვენს წინააღმდეგ, გვარდიის წინააღმდეგ. ან ის ხალხი, რომლებიც სნაიპერებად იყვნენ ჩამოყვანილი... მე ოფიციალურად ვაცხადებ და ვამტკიცებ, მაგათ, რომ ბავშვები დამიხოცეს და რა ფულითაც არ უნდა ჩამოვიდეს ომანიძე დღეს აქ, იცოდეთ, რომ მე დავიწყებ მაგის წინააღმდეგ ომს... სისხლი ფულით არ იყიდება, იცოდეთ ყველამ.

ომანიძე-კიტოვანის ტელედებატები, ჩანს, არ შედგება, თუმცა, როგორც ხედავთ, კამათი დაიწყო. ალბათ, უნდა ველოდოთ გაგრძელებას...

საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული თბილისის სავაჭრო-ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილებაზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (საგარეო ვაჭრობის ეკონომისტი უცხო ენის ცოდნით) და სამართლისმცოდნეობის (სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამართლებრივი უზრუნველყოფის) სპეციალობებზე.

სწავლების ხანგრძლივობა 4 წელიწადი. სწავლა ქართულ ენაზე იწარმოებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლებამიღებული მოქალაქეები, რომლებიც წარმატებით გაივლიან გამოცდა-გასაუბრებას.

სასწავლებელში შემსვლელებმა განცხადებას უნდა დაურთონ: საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი, სამედიცინო ცნობა (ფორმა 086), ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4).

პასპორტსა და სამხედრო საბუთს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

საბუთების შემოტანა შეიძლება 20 ივნისიდან 20 აგვისტომდე, 10-დან 16 საათამდე ყოველდღე, კვირის გარდა.

მისამართი:
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 6-ა,
64-ე საშუალო სკოლა.
ტელ: 37-34-30.

რექტორატი

ფირმა „ლიტა" გთავაზობთ:

სპეციალურ, ამერიკული, შვედური და დანიური წარმოების ექვსნაირი დაცვის ქაღალდზე აქციების, სერთიფიკატების და სხვა ფასიანი ქაღალდების ბეჭდვას თქვენთვის სასურველი დიზაინითა და მხატვრული გაფორმებით, სათანადო ნუმერაციის დაცვით;
თუ გსურთ თქვენი წარმოებული პროდუქცია უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეს, ფირმა გთავაზობთ:

— თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შესრულებულ ეტიკეტებს, როგორც საკუთარი, ისე შემოთავაზებული დიზაინით;
— წებოიანი ეტიკეტების დამზადებას;
— საწარმოს სასაქონლო ნიშნის, ემბლემისა და საფირმო სტილის დამუშავებას, მაკეტების დამზადებას და ილუსტრირებას;
— სადარბაზო ბარათების, ნებისმიერი ტიპის ბლანკების დაბეჭდვას;
— მაღალი დონის ყველა სახის პოლიგრაფიული სამუშაოს შესრულებას;
— შესაფუთი მასალის დიზაინს, გაფორმებას და დამზადებას.

მისამართი: კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-65-52; შიდა — 5-90.

ფირმა „დიმო"

გთავაზობთ მოგზაურობას ბულგარეთში,
ფასი 200 დოლარი,
ტელ: 39-31-17, 15 სთ-მდე,
29-23-55, 15 სთ შემდეგ.

გთავაზობთ!
უნაღდო ანგარიშსწორებით
საწერ და საბეჭდ ქაღალდს
ადგილზე მიწოდებით.
ტელ: 38-91-64.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის წარმოებისაგან მოწყვეტით დღის (დასწრებული) სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამკურნალო (ქართული და რუსული სექტორები), პედიატრიული, პროფილაქტიკური მედიცინის, სტომატოლოგიური, ფარმაცევტული, სამედიცინო ბიოლოგიისა და სამხედრო-სამედიცინო (ვაჟები) ქართული სექტორები.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლებამიღებული მოქალაქენი.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:
1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი;
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა 086). სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტზე შემსვლელები დამატებით 15-20 ივლისის ჩათვლით გაივლიან სამხედრო-საექიმო კომისიას და წარმოადგენენ შესაბამის დასკვნას.
3. ექვსი ფოტოსურათი (3X4 სმ).

პასპორტსა და სამხედრო მოწმობას აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

მისაღები გამოცდები მოეწყობა შემდეგ საგნებში:
1. ბიოლოგია — წერა,
2. ქიმია — წერა,
3. ქართული (რუსული) ენა და ლიტერატურა — წერა.
4. უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) — წერა.

გამოცდებთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად აბიტურიენტები საბუთების შეტანისას ადგილზე გადაიხდიან სამი ამერიკული დოლარის ექვივალენტურ თანხას.

გამოცდების შეფასება ბიოლოგიასა და ქიმიაში მოხდება 20 ქულიანი სისტემით (დადებით შეფასებად ჩაითვლება ქულები 11-დან 20-ის ჩათვლით), ხოლო ქართულ (რუსულ) ენასა და ლიტერატურასა და უცხო ენაში — 10 ქულიანი სისტემით (დადებით შეფასებად ჩაითვლება ქულები 6-დან 10-ის ჩათვლით).

სამედიცინო უნივერსიტეტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით. ჩარიცხვა მოხდება გამოცდებზე აბიტურიენტთა დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით.

მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით სახელმწიფო დაკვეთის გადამეტებით სამედიცინო უნივერსიტეტის ფაკულტეტების (სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტის გარდა) ფასიან სწავლებაზე ჩაირიცხება 150 აბიტურიენტი მიღებული ქულების გათვალისწინებით, რომლებმაც ვერ დააგროვეს გამსვლელი ქულა, გამოთქვამენ ფასიანი სწავლების სურვილს და გადაიხდიან სამედიცინო უნივერსიტეტში დადგენილ სწავლების პირველი წლის საფასურს. მომდევნო წლებში სწავლების საფასური ყოველწლიურად შეიცვლება ინფლაციის გათვალისწინებით. ფასიან სწავლებაზე ჩარიცხული აბიტურიენტები სტიპენდიას არ მიიღებენ.

განცხადებები მიიღება ყოველდღე (კვირის გარდა), 1-20 ივლისის ჩათვლით 10-დან 15 საათამდე, სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 29, მისაღები გამოცდები მოეწყობა 23 ივლისიდან განრიგის მიხედვით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სამედიცინო უნივერსიტეტის მიმღები კომისიის ცნობათა ბიუროში.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი წელს, 26 ივნისს, 12 საათზე აწყობს „ღია კარის" დღეს.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 29, მედქალაქის პირველი სასწავლო კორპუსი, მე-3 სართული.

მიმღები კომისია

სამედიცინო უნივერსიტეტის ახალი ფაკულტეტი და მისი ამოცანები

მოკლე, ენციკლოპედიური განმარტებით, მედიცინა არის მეცნიერული ცოდნისა და პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთიანი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის დაავადებათა გამოცნობას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას. ამ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობიდან გამომდინარე მედიცინა ყოველთვის იპყრობდა სხვადასხვა დარგებში მოღვაწე მეცნიერთა ყურადღებას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მედიცინა ის სამაგალითო დარგია, სადაც ყველაზე უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს მეცნიერების სხვა დარგებში აღმოჩენილ თეორიულ მიღწევათა და ტექნიკის სიახლეთა ასიმილირება; სადაც ესოდენ აუცილებელია მეცნიერების სხვადასხვა დარგების (ძირითადად საბუნებისმეტყველო) ურთიერთშერწყმა, ინტეგრაცია. თანამედროვე მედიცინის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, კიბერნეტიკის მიღწევებმა, იმ ტექნიკურმა საშუალებებმა, რომლითაც იარაღდება სამედიცინო მეცნიერება და პრაქტიკა. და მაინც, ძირითადად, თანამედროვე მედიცინის თეორიულ, ფუძემდებლურ საფუძველს ბიოლოგიური მეცნიერების ცალკეული, კერძოდ კი სამედიცინო-ბიოლოგიური პროფილის დარგები წარმოადგენს. ასეთ დარგთა რიცხვს მიეკუთვნება: ადამიანის ანატომია, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, გენეტიკა, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ბიოფიზიკა, პათანატომია, პათოფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია და სხვა. სამედიცინო ბიოლოგიის პრობლემებისადმი დიდი დაინტერესების გამო ბევრმა ექიმმა დათმო თავისი პირდაპირი პროფესიული საქმიანობა— სნეულთა მკურნალობა და მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე კეთილსინდისიერად და ნაყოფიერად ემსახურა სამედიცინო მეცნიერების განვითარებას. ბევრიც შეძლებისდაგვარად ცდილობს პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობას შეუთავსოს თეორიული მედიცინის ცალკეულ, კონკრეტულ დარგებში მუშაობა.

მეორე მხრივ, სამედიცინო ბიოლოგიის დარგებს აქვთ აგრეთვე უაღრესად დიდი მნიშვნელობა პრაქტიკული მედიცინისთვის. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეისთვის ყველა სამედიცინო სამკურნალო დაწესებულების სტრუქტურის აუცილებელ რგოლს წარმოადგენს სამედიცინო-ბიოლოგიური პროფილის კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიები (ბიოქიმიური, ჰისტოლოგიური, ციტოლოგიური, ჰემატოლოგიური, გენეტიკის, მიკრობიოლოგიისა და სხვა). ხშირად შეუძლებელია სწორი დიაგნოზის დასმა და მკურნალობის ეფექტიანი გზების დასახვა ავადმყოფის სხვადასხვა სახის ლაბორატორიული გამოკვლევა-დაკვირვებათა გარეშე. მხოლოდ ლაბორატორიულ გამოკვლევათა შედეგებით დასაბუთებული, დროულად დასმული სწორი დიაგნოზი შეიძლება იყოს მკურნალობის სტრატეგიის სწორად შერჩევისა და ავადმყოფის სწრაფი გამოჯანმრთელების ერთადერთი რეალური გზა. უკვე საყოველთაოდ აღიარებული ეს ჭეშმარიტება მიგვანიშნებს, თუ რაოდენ დიდია თანამედროვე მედიცინაში სადიაგნოსტიკო ლაბორატორიულ გამოკვლევათა მნიშვნელობა. რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ლაბორატორიებში მომუშავე ექიმ-სპეციალისტების (მეტწილად სამედიცინო ბიოლოგიის დარგების) პროფესიული მომზადების დონეს, რომლებიც არა მარტო ზედმიწევნით კარგად უნდა ფლობდნენ არსებულ საკვლევ-სადიაგნოსტიკო მეთოდებსა და საშუალებებს, არამედ მათ უნდა შეეძლოთ სამედიცინო პრაქტიკაში შემოსული კვლევის უახლესი მეთოდებისა და ურთულესი დანადგარების უმოკლეს დროში ათვისება-გამოყენება. პრაქტიკული მედიცინისთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვინაიდან დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებში დანერგილი ავადმყოფთა გამოკვლევის ყოველი ახალი მეთოდი, სულ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს მედიკოსებს უფრო ზუსტად და სრულყოფილად შეაფასონ ცალკეული ორგანოებისა თუ ორგანიზმების სისტემების მდგომარეობა, გამოავლინონ მათი ფუნქციების ცვლილებები, განსაზღვრონ ავადმყოფში პათოლოგიური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებანი, რასაც განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს მკურნალობის ადექვატური გზების ძიებისათვის. ამის შესაბამისად, დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებში მომუშავე ექიმ-სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ გამოკვლევათა შედეგად მიღებული, რიგ შემთხვევებში საკმაოდ რთული ინფორმაციის უშეცდომოდ და დროულად გაშიფრვის უნარი. ზემოთქმულის გარდა, უკვე დღეს, საკვლევ-სადიაგნოსტიკო ლაბორატორიებში მომუშავე სპეციალისტებს მოეთხოვებათ არა მარტო თეორიული მედიცინის ცალკეული დარგების ღრმა ცოდნა, არამედ ამ დარგებში საფუძვლიანი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა, რათა შეეძლოთ გამოკვლევების დროს შემჩნეული საინტერესო მოვლენების სიღრმეში ჩაწვდომა, ექსპერიმენტით მათი მოდელირება და ბოლოს მეცნიერული, თეორიული ახსნა.

ამრიგად, თანამედროვე პრაქტიკულ მედიცინაში სულ უფრო მეტად და მეტად იზრდება ლაბორატორიული გამოკვლევების მნიშვნელობა, როგორც ავადმყოფთა დიაგნოსტიკის, ისე მკურნალობის ეფექტიანობის განსაზღვრის (კონტროლის) საქმეში. ამან, ცხადია, დღის წესრიგში დააყენა კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიების მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით დაკომპლექტების აუცილებლობა.

დღეისათვის ჩვენი რესპუბლიკის კლინიკებსა თუ პოლიკლინიკებში არსებულ სხვადასხვა პროფილის ლაბორატორიებში მუშაობენ ექიმები, ბიოლოგები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები, კიბერნეტიკოსები და ბევრი სხვა დარგის სპეციალისტები, რომლებმაც ადგილზევე ან სხვა რესპუბლიკებსა თუ ქვეყნებში გაიარეს სპეციალური გადამზადება-სტაჟირება, რათა დაეუფლებოდნენ კვლევის იმ მეთოდებს, რომლებიც ასე აუცილებელია სამედიცინო ლაბორატორიული საქმისათვის. აქედან გამომდინარე ძნელი წარმოსადგენი არ არის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული სამედიცინო სამსახურისათვის ასეთი, კლინიკურ-ლაბორატორიული სადიაგნოსტიკო პროფილის მაღალი კვალიფიკაციის სპეცილისტების მომზადებას და თუ დროულად არ მიექცა ყურადღება მედიცინისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას, ჩვენი სწრაფვა რესპუბლიკის ჯანდაცვის სამსახურის მსოფლიო სტანდარტების დონემდე წამოწევისათვის, ძნელად განსახორციელებელ ამოცანად იქცევა.

მართალია, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი კი ამზადებს (და საკმაოდ მაღალ დონეზეც) დარგობრივ ბიოლოგ-სპეციალისტებს, რომელთაგან ბევრი საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს კიდეც ჩვენი ქვეყნის სამედიცინო პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა თუ კლინიკურ-სადიაგნოსტიკო ლაბორატორიებში, მაგრამ მრავალი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თეორიულ მედიცინაში და მით უმეტეს, კლინიკურ სადიაგნოსტიკო ლაბორატორიებში მომუშავე სპეციალისტმა უნდა იცოდეს კლინიკური დისციპლინები, რათა შეეძლოს 1. ლაბორატორიულ გამოკვლევათა გეგმის სწორი დასახვა ყველა კონკრეტული შემთხვევისათვის და 2. გამოკვლევათა შედეგების მიხედვით დაავადების დადგენა. მეორე მხრივ, წამოჭრილ პრობლემასთან მიმართებაში არც ის არის გამართლებული, რომ „მკურნალ ექიმად" მომზადებული სპეციალისტი გადავამზადოთ და შემდგომში ვამუშაოთ სამედიცინო ბიოლოგიის რომელიმე დარგში ან კლინიკურ ლაბორატორიაში (რასაკვირველია, თუ ეს მისი მისწრაფება და პირადი სურვილი არ არის).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, ყველაზე უფრო გამართლებული და რაციონალური იქნება საკითხი დავსვათ შემდეგნაირად: ხომ არ აჯობებს სამედიცინო ბიოლოგიითა და საერთოდ თეორიული მედიცინით დაინტერესებული ახალგაზრდები პირდაპირ, გამიზნულად მოვამზადოთ ამ დარგებში სამოღვაწეოდ? რასაკვირველია, თუ არსებობს ამის რეალური პირობები. ამის პირობები კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ნამდვილად არსებობს. ჯერ ერთი, აქ, ფაქტობრივად სამედიცინო ინსტიტუტის დაარსების დღიდანვე არსებობს სათანადო სამედიცინო-ბიოლოგიის პროფილის კათედრები და მეორეც, აქ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში არსებობდა ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც ამჟამად გადაკეთდა სამედიცინო უნივერსიტეტთან არსებულ ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, სადაც ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს თეორიული და ექსპერიმენტული მედიცინის თითქმის ყველა დარგში.

გათვალისწინებულ იქნა რა სამედიცინო დარგის წინაშე მდგარი პრობლემები და ამასთანავე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შესაძლებლობები, გადაწყდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დაარსდეს ახალი ფაკულტეტი — „სამედიცინო ბიოლოგიის" ფაკულტეტი.

ფაკულტეტი მოამზადებს მაღალი კვალიფიკაციის ექიმ-სპეციალისტებს, როგორც თეორიული მედიცინის სფეროში სამუშაოდ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და კათედრებზე, ისე კლინიკური სადიაგნოსტიკო ლაბორატორიებისათვის.

1994/95 სასწავლო წლისათვის „სამედიცინო ბიოლოგიის" ფაკულტეტზე მიღებული იქნება 20 სტუდენტი: მისაღები გამოცდები მოეწყობა შემდეგ საგნებში: 1. ბიოლოგიაში, 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 3. უცხო ენასა და 4. ქიმიაში.

რექტორი, პროფესორი რ. ხეცურიანი,

პრორექტორი სამეცნიერო მუშაობაში, პროფესორი ზ. დუმბაძე

ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ. ᲓᲐ ᲛᲝᲢᲧᲣᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ

ყველა ნორმალურ ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მთავარი წყარო გადასახადებისგან მიღებული თანხებია. მწირბიუჯეტიან ქვეყანას არ უწერია წელში გამართვა, ხოლო მის მოქალაქეებს — ადამიანური ცხოვრება. სწორედ ამის გამოა, რომ ამ ქვეყნებში შემოსავლის დამალვა, გადასახადის გადაუხდელობა მკაცრ სახელმწიფო კონტროლზეა აყვანილი და კანონით სასტიკად ისჯება.

ჩვენთან კი, ბევრი ფირმის, საწარმოს, კომერციული სტრუქტურის მესვეურს ამგვარი ქმედება ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია და სულაც არ ენაღვლება მისი ქვეყნისა და ხალხის გაჭირვება და ინტერესები.

შეშფოთებას იწვევს ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოსა და ხალხის ყვლეფის გზით იოლად გამდიდრების მოსურნეებს, ამ ბნელ საქმეში ხელის შემწყობებად ზოგჯერ ხშირად ის ადამიანები გამოუჩნდებიან ხოლმე, ვისაც პირველ რიგში ევალება ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების ინტერესების დაცვა.

1993 წლის 10 მაისს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის პარლამენტის წევრმა ირაკლი წერეთელმა ოფიციალური თხოვნის წერილით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ვიცე-პრემიერს: შუამდგომლობა გაეწია ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საშეფო ორგანიზაციისათვის — მუხრანის კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი საწარმოსათვის, რათა მას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან 180 ტონა ფერომანგანუმი გამოყოფოდა რუსეთში გასატანად და მის სანაცვლოდ საქართველოს რესპუბლიკაში სასურსათო პროდუქტების შემოსატანად.

ამგვარი თხოვნით მთავრობისათვის მიმართვასა და ამ უკანასკნელისაგანაც თანხმობის მიღებაში არაფერი კანონსაწინააღმდეგო არ არის. პირიქით, ხელშეწყობა სჭირდება ყველას, ვინც ამ შიმშილობის ჟამს შესძლებს რესპუბლიკაში სასურსათო პროდუქტების შემოტანას.

მაგრამ ვნახოთ, სად წავიდა და რას მოხმარდა ქართული ფეროს სანაცვლოდ მიღებული თანხა.

შუამდგომლობისა და მიღებული თანხმობის საფუძველზე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელობამ მუხრანის კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი ქარხნის დირექციას მისცა საგარანტიო ვალდებულება 380 ტონა ფერომანგანუმის მიწოდებაზე.

1993 წლის 22 ივნისს მუხრანის კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი საწარმოს დირექტორმა ავთანდილ მწყერაშვილმა (იგი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრია) თავისი ორგანიზაციის სახელით ნოვოლიპეცკის მეტალურგიულ კომბინატთან გააფორმა ხელშეკრულება 400 ტონა საშუალო ნახშირბადოვანი ფერომანგანუმის მიწოდებაზე, რომლის ღირებულება — 258 მილიონი მანეთი—ხელშეკრულების თანახმად კომბინატს წინასწარ უნდა ჩაერიცხა ქალაქ მოსკოვის საწარმოო გაერთიანება „მეტსტოკის“ ანგარიშზე.

ნოვოლიპეცკის მეტალურგიულმა კომბინატმა სწრაფად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, საწარმოო გაერთიანება „მეტსტოკს“ 1993 წლის ივლისში გადაურიცხა 258 მილიონი მანეთი. მაგრამ ა. მწყერაშვილმა ამ თანხიდან 25 მილიონი მანეთი გადაურიცხა ქალაქ მოსკოვის გაერთიანება „მოსავტოს“ და შეიძინა რუსეთის საავტომობილო მრეწველობის ყველაზე პრესტიჟული, სამი „გაზ-31029“ მარკის ავტომანქანა.

უნდა გვეფიქრა, რომ ა. მწყერაშვილი დარჩენილ 227 მილიონ მანეთს მაინც გამოიყენებდა ჩვენი ქვეყნისათვის დაპირებული სასურსათო პროდუქტების შესაძენად და საქართველოში გამოსაგზავნად...

მაგრამ, ნურას უკაცრავად. ეს თანხა მან გადარიცხა მოსკოვის მცირე საწარმო „ხარმის“ ანგარიშზე, რათა მოეხდინა ამ ფულის კონვერტაცია. ამ ოპერაციების განხორციელებაში მას მიეხმარა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის მოადგილე ვ. ბარამაძე (რა თქმა უნდა, არა მწყერაშვილის ლამაზი თვალებისათვის). საშუამავლო საქმიანობისათვის მან მწყერაშვილისგან მიიღო იმ სამი ნაყიდი ავტომანქანიდან ერთი, თანაც სათანადო ხელშეკრულების გაფორმებით.

მცირე საწარმო „ხარმის“ ანგარიშზე ჩარიცხული 227 მილიონი მანეთის სანაცვლოდ ა. მწყერაშვილმა ნაღდი ანგარიშსწორებით მიიღო 162 მილიონი მანეთი, საიდანაც 50 მილიონი მანეთი გამოიყენა 45 ათასი ამერიკული დოლარის შესაძენად.

ეს დოლარები გადასცა თბილისის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „თამისის“ დირექტორს ა. ბალავაძეს, რომელმაც ეს თანხა გადაურიცხა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, მაგრამ გადაურიცხა არა დოლარებით, არამედ კუპონებით — 305 მილიონი კუპონი, რითაც დაიფარა ზესტაფონის ქარხნიდან ნოვოლიპეცკის მეტალურგიულ კომბინატში გადასაგზავნი ფერომანგანუმის საფასური.

იმისათვის, რომ ამ გადარიცხვას კანონიერი ფორმა ჰქონოდა, ა. მწყერაშვილმა გააფორმა ყალბი დოკუმენტები თითქოსდა მას მოსკოვის მცირე საწარმო „ხარმიდან“ შეძენილი ჰქონდა 250 ტონა შაქარი და 87 ტონა კარაქი, რაც მიჰყიდა ფირმა „თამისს“ 305 მილიონ კუპონად.

აღნიშნული 305 მილიონი კუპონის ჩარიცხვის შემდეგ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ ნოვოლიპეცკის მეტალურგიულ კომბინატს გაუგზავნა ფერომანგანუმი.

რესპუბლიკიდან წავიდა ძვირფასი ფეროშენადნობი, მის სანაცვლოდ კი მიიღო მხოლოდ ყალბი საბუთები არარსებული და შემოუტანელი შაქრისა და კარაქის შესახებ.

ამ ოპერაციით მიღებული კოლოსალური მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში არც ერთი კაპიკი გადასახადი არ შესულა. როგორც წინასწარი გამოძიებით დადგინდა, ა. მწყერაშვილმა მუხრანის კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი საწარმოს საბალანსო მონაცემებში არ შეიტანა და სახელმწიფო ბიუჯეტს დაუმალა მოგებიდან გადასახდელი 106 მილიონი მანეთი, რის გამოც, იგი 1994 წლის 17 მარტს აყვანილ იქნა წინასწარ პატიმრობაში. წარდგენილ ბრალდებაში ა. მწყერაშვილმა თავი დამნაშავედ ცნო და თანხის დაფარვის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანა 3 მილიარდ 600 მილიონი კუპონი, რაც მის მიერ გადასახდელი თანხის მხოლოდ 10 პროცენტია.

რაც შეეხება მოსკოვში შეძენილ „გაზ-31029“ მარკის ორ ავტომანქანას, ა. მწყერაშვილმა განმარტა, რომ ორივე ავტომანქანა თავისი პარტიის თავმჯდომარეს ი. წერეთელს (!) მიაბარა...

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ-ეკონომიკური კატაკლიზმებით გაჩანაგებული ჩვენი სახელმწიფო, როგორც იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამს, როგორმე შიმშილისა და სიცივისაგან რომ გადაარჩინოს ხალხი. სურსათის, გაზის, ელექტროენერგიის შესაძენად და შემოსატანად ქვეყანას არ გააჩნია ვალუტა, გადახდის ერთადერთი საშუალებაა ჩვენთვის უკვე სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტებადქცეული — ჩაი, კონიაკი და ღვინო და მიწ ნაცვლად სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციის შემოტანა.

იმის გამო, რომ ეს სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტებიც თავზე საყრელად არა გვაქვს და თანაც სერიოზული საფრთხე იყო სხვადასხვა არხებით სხვა ქვეყნებში მათი უკონტროლო გატანისა, 1991 წლის სექტემბრიდან ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედებს სალიცენზიო სისტემა.

მაგრამ საქმეს ვერც ლიცენზიებმა უშველა, ხელმრუდმა ადამიანებმა აქაც ნახეს ქვეყნისა და ხალხის ყვლეფის გზით იოლად გამდიდრების საშუალება. სხვადასხვა ფირმებმა ლიცენზიით მართლაც გაიტანეს დიდძალი ჩაი, კონიაკი და ღვინო, მაგრამ სანაცვლოდ არც ერთი კილოგრამი სურსათი არ შემოუტანიათ. საქართველოდან გატანილი პროდუქტები გაყიდეს, აღებული ფული ან მიითვისეს, ან სხვა, ჩვენი ქვეყნისათვის არც ისე აუცილებელი საქონლის შესაძენად დახარჯეს. ვერც სახელმწიფოს ბიუჯეტმა მიიღო ამ პროდუქტების რეალიზაციით გამოსაღები გადასახადი. რადგან ჯერჯერობით არ არსებობს მექანიზმი, არ არსებობს სამსახური, რომელიც გააკონტროლებდა, დანიშნულების მიხედვით იქნა გამოყენებული თუ არა ჩვენი რესპუბლიკიდან გატანილი პროდუქცია.

ᲔᲠᲗᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ

უფრო მეტიც. მასობრივი ხასიათი მიიღო ყალბი ლიცენზიებით პროდუქტების გატანამ.

1993 წლის 29 დეკემბერს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სახელით ყალბი ლიცენზიების გამოყენებით დიდძალი სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტზე.

გამოძიებით გამოირკვა, რომ 1993 წლის 5 მარტს ოზურგეთის მრავალდარგოვანმა კოოპერატივმა „ოაზისმა“ ფოთის საბაჟოს წარუდგინა ლიცენზია № 011832-256, რომელიც თითქოსდა გაცემული იყო სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ბარტერული და სხვა სახის საკოორდინაციო საბჭოს მიერ, რის საფუძველზე ყაზახეთის ქალაქ ტალიყურღანში გაიგზავნა 40 ტონა ჩაი.

როგორც გაირკვა, ეს ლიცენზია 1992 წლის 10 ნოემბერს ოფიციალურად აქვს მიღებული ოზურგეთის ფირმა „გალმა-დვაზზუს“ და მის საფუძველზე უკვე გატანილი იყო 10 ტონა ჩაი.

ორივე ფირმაში პრეზიდენტად მუშაობს ვინმე თამაზ სტურუა (იგი ამჟამად გაქცეულია). მან ლიცენზიის მიღების დროს ხელშეკრულება დადო სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელთან, რომ ჩაის სანაცვლოდ შემოიტანდა 1000 ტონა ხორბალს, 50 ტონა ხახვს, 60 ტონა კარტოფილს. ლიცენზიისა და ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენი რესპუბლიკიდან გატანილი იქნა ჩაი, სანაცვლო პროდუქტები კი არ შემოტანილა.

იმავე ლიცენზიის საფუძველზე 1993 წლის 13 მარტს სამტრედიიდან ფირმა „თბილისმა“ (პრეზიდენტი ზურაბ ჟღენტი) რკინიგზით ტიუმენის ოლქში გაგზავნა 17,5 ტონა ჩაი.

ფირმა „ოაზისის“ ხელმძღვანელს თ. სტურუას ფოთის საბაჟოში ზემოთ ხსენებულ № 011832 ლიცენზიასთან ერთად წარმოდგენილი აქვს 1992 წლის 18 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება ქალაქ ტალიყურღანის სავაჭრო ბაზის „კაზხაკალეის“ დირექტორთან აბუკაევსთან 40 ტონა ჩაის სანაცვლოდ ქათმის ხორცის მიღებაზე. ხელშეკრულება დამოწმებულია „ოაზისის“ ხელმძღვანელის თ. სტურუას ხელმოწერითა და ბეჭდით, ხოლო „კაზხაკალეის“ ხელმძღვანელის აბუკაევს ხელმოწერის ქვეშ, რატომღაც დასმულია ესტონეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი ფირმის ბეჭედი. დადგინდა, რომ ეს ხელშეკრულება ისეთივე ყალბია, როგორც თვით ლიცენზია.

ასევე ყალბი ლიცენზიით ოზურგეთის ფირმა „თაიგულმა“ (პრეზიდენტი ე. სურგულაძე) 1993 წლის იანვარში ქალაქ ულან-უდეში გაიტანა 20 ტონა ჩაი. სანაცვლოდ უნდა შემოეტანა კარაქი, თევზი და კვების სხვა პროდუქტები. დაპირება არ შესრულებულა.

ლანჩხუთის მცირე საწარმო „გრიგოლეთმა“ ყალბი ლიცენზიით ქალაქ პენზაში გაიტანა 18 ტონა ჩაი, დადებული ხელშეკრულების საფუძველზე პენზის ერთ-ერთ კომერციულ ფირმას უნდა შემოეზიდა 80 ცალი მოტობლოკი. ეს ხელშეკრულებაც ყალბი აღმოჩნდა.

ოზურგეთის ფირმა „სელას“ ხელმძღვანელმა ტიკარაძემ ყალბი ლიცენზიით რუსეთში გაიტანა 26 ტონა ჩაი, სანაცვლოდ უნდა შემოეტანა ფანჯრის მინა და ქვანახშირი, მაგრამ არ შემოუტანია.

ისიც საგულისხმოა, რომ ყველა ამ ყალბი ლიცენზიით პროდუქცია გატანილია ფოთის საბაჟოს გავლით.

როგორც გამოძიებით ირკვევა, კოოპერატიულ და ერთობლივ საწარმოებში მოქმედებდა დამნაშავეთა ჯგუფი, რომელთაც, ყალბი ლიცენზიებით უკანონოდ გაჰქონდათ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ლიცენზიების გამცემ ჯგუფთან ფორმდებოდა წინასწარი განზრახვით არარეალური ხელშეკრულებები. თითქოსდა ბარტერული წესით ჩვენს რესპუბლიკაში ხორბლის, კარაქის, შაქრის, საწვავის შემოტანის პირობით, რაც ფაქტობრივად არ სრულდებოდა და მთლიანად ხდებოდა სახელმწიფო ქონების დატაცება, რაც ამავე დროს დაკავშირებული იყო გადასახადების დამალვასთან და მითვისებასთან.

ბარტერული მაქინაციები მარტო ყალბი ლიცენზიებით როდი ხდება, ხშირია ერთი და იგივე კანონიერი ლიცენზიით ორჯერ-სამჯერ პროდუქტების გატანის შემთხვევები.

ამ მიზნით განსაკუთრებით ხშირად იყენებენ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის მიერ გაცემულ ლიცენზიებს.

მაგალითად, ფირმა „კეკემ“ № 0431-02 ლიცენზიით ყაზახეთში გაიტანა 33 ათასი ბოთლი კონიაკი, იმავე ლიცენზიით ფირმა „სტრატეგია ალიონს“ რესპუბლიკიდან გატანილი აქვს 960 ათასი კილოგრამი ჩაი.

ლიცენზია № 0562-02-ით ჯერ ფირმა „ეგრისმა“ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიტანა 902 ათასი კილოგრამი ჩაი, შემდეგ კი ფირმა „რონდომ“ — 2000 ბოთლი კონიაკი „არაგვი“.

ერთი და იგივე ლიცენზია № 0333-02-ით სხვადასხვა ფირმამ რესპუბლიკიდან ოთხჯერ გაიტანა ღვინო, კონიაკი და ჩაი.

კოოპერატივმა „მარტვილმა“ ლიცენზია № 0055-02-ით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიტანა 28 ათასი ბოთლი კონიაკი, ამავე ლიცენზიით ცეკავშირის რესპუბლიკურმა ბაზამ წაიღო 15 ათასი ბოთლი არაყი.

უბედურება მარტო ერთი და იგივე ლიცენზიის რამდენჯერმე გამოყენებაში როდია. რესპუბლიკაში არ შემოტანილა ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტები.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐ და ხალხის მოტყუების გზით ცალკეული პირების მიერ ფულის მოხვეჭის ფაქტები დადასტურებულია. გამოძიება და მართლმსაჯულება ამ დანაშაულს, ალბათ, ბოლომდე გაარკვევს და ყველას თავისას მიუზღავს.

მაგრამ, ეშველება ამით საქმეს? ალბათ, არა, თუ არ გაჯანსაღდა ის ნიადაგი, რომელიც ხელმრუდ ადამიანებს აძლევს ასეთი მაქინაციების საშუალებას.

კერძოდ, რატომ აქამდე არ არის შექმნილი სამართლებრივი ბაზა იმისათვის, რომ კანონით მოეთხოვოს პასუხი იმ ხალხს, რომლებსაც საქართველოდან გააქვთ რესპუბლიკის ერთადერთი გადახდის საშუალება — სტრატეგიული პროდუქტები და სანაცვლოდ არ შემოაქვთ ხელშეკრულებით ნაკისრი სასურსათო პროდუქტები? კანონითვე რატომ არ დგება იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც აძლევენ ლიცენზიას, აფორმებენ ხელშეკრულებას და შემდეგ არ კითხულობენ სანაცვლოდ რა შემოიღო ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა.

ანდა დღემდე ის მაინც რატომ არ გაკეთდა, რომ შექმნილიყო რაიმე თუნდაც სამეურნეო მექანიზმი, ან სამსახური, რომელსაც დაეკისრებოდა ბარტერზე კონტროლი?

სანამ ეს საკითხები არ გადაიჭრება, ალბათ, გაჭირდება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება და მოსახლეობის სურსათით თუნდაც მინიმალური დაკმაყოფილება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲪᲔᲜᲢᲠᲘ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

„ᲕᲐᲰ, ᲓᲠᲝᲜᲘ“

ის-ის იყო, მივეჩვიეთ რუსთაველის გამზირზე, ცენტრალური ტელეგრაფის კიბეებზე ყალმის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას, თუ არ ვუღდღობდით, ვათვალიერებდით მაინც. ახლა კი...

მხატვრებმა თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ, გადაინაცვლეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობის თაღებქვეშ. დამთვალიერებელ-მყიდველი ნამუშევრებს არ აკლია, მაგრამ ბევრმა ხელოვანმა ახალ ადგილს რატომღაც ვერ აუღო, ნამუშევრების რაოდენობა საკმაოდ შემცირდა. მხატვრებმა სხვა, უფრო შემოსავლიან ადგილს დაუწყეს ძებნა.

— ეს ჩემი ხელობაა, ამით ვარსებობ და ვარჩენ ოჯახს. სადაც მყიდველი არის, ჩვენი სარფიც იქაა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ერთ-ერთმა მხატვარმა.

არ ვიცი, ვის აწუხებდა ტელეგრაფის კიბეებზე სურათების ვაჭრობა, მაგრამ ისიც საკითხავია, პარლამენტის შენობის წინ, ჩიხში, ან რუსთაველის ძეგლთან გამართული საჯიხურე ვაჭრობა იმავე მყიდველის მიზიდვის მიზნით არ ხდება? „პრესტიჟულ“ ადგილებში საჯიხურე ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა აქაურ მეჯიხურეთ, რომლებიც არც თუ ფართო მოხმარების საქონლით ვაჭრობენ, არც კი შეხებია. რას იზამ, ნათქვამია, დრონი მეფობენო...

...და მედროვენი, კოლეგებო, რომლებიც იმ მეჯიხურეებს პატრონობენ.

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲜᲢᲘ — ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ

ევროპის თანამეგობრობამ, რომლის შტაბ-ბინა ბრიუსელშია, გრანტი მიანიჭა სხვადასხვა ქვეყნების ხუთ სამეცნიერო კოლექტივს — ინგლისელ, გერმანელ, ბერძენ და მოსკოველ სპეციალისტთა შორის არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროტექნიკურ ტექნოლოგიათა კათედრის თანამშრომლებიც. ოცი ათას დოლარამდე გამოყოფს მათ დასახული თვისებების მქონე მასალებისა და საფარების მისაღებად სამეცნიერო და ტექნოლოგიური საფუძვლების განვითარებისათვის.

ქართველ მეცნიერთა ნამუშევარი პერსპექტიულად ცნეს და მიღებული გრანტი შესაძლებლობას მისცემს მათ განაგრძონ კვლევა ამ მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის საქველმოქმედო დახმარება, არამედ, დამსახურებული წარმატებაა, რომელიც მიღწეულია კონკურსზე მკაცრი შერჩევის შედეგად. კონკურსში კი მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნების უძლიერესი სამეცნიერო ძალები.

ᲖᲔᲘᲛᲘ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ

ᲓᲘᲓᲘ ხანია, ასეთი საზეიმო ელფერი არ ჰქონია ზუგდიდს... 1 ივნისს აქ, თავისუფლების მოედანზე ჩატარდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ზეიმი. ქალაქისა და რაიონის სკოლების და საბავშვო ბაღების აღსაზრდელები მხიარულები და იმედიანები გამოდიოდნენ საზეიმო სცენაზე და უმღეროდნენ მშობელი ერის ერთობასა და უძლეველობას. ასეთი მასშტაბური ღონისძიების ჩატარება, საგანგებო სიტუაციათა ზონაში შემავალ ქალაქში, ნიშანია იმისა, რომ ყველაფერი კეთდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილურობისათვის, რასაც ზუგდიდის ადგილობრივი მმართველობა სხვადასხვა მოქმედ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უნარიანად ახორციელებს.

ᲝᲚᲘᲐ ᲥᲣᲮᲘᲚᲐᲕᲐ.

ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის 25 მაისის ნომერში დაბეჭდილ ინფორმაციაში ლიმფოსტაზით დაავადებული ბავშვის თამრიკო ჭანტურიასთვის დასახმარებლად გახსნილი ანგარიშის ნომერი შეცდომითაა მითითებული. უნდა იყოს: **აბაშის აგრომრეწვბანკი, ანგარიშის ნომერი 700100.**



ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲖᲔ

ᲬᲚᲔᲣᲚᲡ, 5-11 ივნისს, საქართველოს რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი განაახლებს საქართველოში ერთ დროს ტრადიციულ და მეტად პოპულარულ ტურნირს ბავშვთა საფეხბურთო გუნდებს შორის „ტყავის ბურთის პრიზზე“. ტურნირზე მთავარი პრიზის გარდა (გარდამავალი თასი) დაწესებულია სპეციალური პრიზები: საუკეთესო მოთამაშის, მეკარის, მცველის, ნახევარმცველის, თავდამსხმელის, ბომბარდირისა და ყველაზე ტექნიკური მოთამაშისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი სთხოვს ქართველ ბიზნესმენებსა და მეწარმეებს, მეცენატებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ ღონისძიებაში და ტურნირის ფინანსური დახმარებისა და ქართული ფეხბურთის მომავალი განვითარების ხელშეწყობის მიზნით დააწესონ სპეციალური პრიზები.

მსურველებმა მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: კ. გამსახურდიას, 41. ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის შენობა, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი. ტელეფონი 37.16-68.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ გათიშვის გამო, ორსაათიანი დაგვიანებით დაიწყო კალათბურთელ ჭაბუკთა ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები, მაგრამ სპორტის სასახლის ტრიბუნებზე დაახლოებით შვიდი ათასი გულშემატკივარი მაინც შეიკრიბა.

„თბილისი“ — „ქუთაისი“ 89:81 (44:46).

„თბილისის“ ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ზანაძემ (20 ქულა), ქარაბაკმა და გურასპაულმა. მათ მეტოქეთა შორის გამოირჩეოდა ოთიურიძე.

„ვითა“ — „თორსი“ 115:99 (57:40).

„თორსის“ კაპიტნის — დავით თორთლაძის ბენეფისის მიუხედავად (მან 59 ქულა მოაგროვა), ქუთაისის ჩემპიონთა უპირატესობა საგრძნობი იყო.

[illegible]

ᲜᲘᲜᲝ ᲑᲐᲜᲔᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი ღვაწლმოსილი, ამაგდარი მუშაკი, ქალბატონი ნინო სიმონის ასული ბანეთიშვილი.

სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე სიტყვებით მიმართავდა მას ყველა და ისიც ისეთივე სითბოს, სიყვარულს, კეთილგანწყობილებას მიაგებდაირგვლივ მყოფთ.

ქალბატონი ნინო 1947 წელს სრულიად ახალგაზრდა მოვიდა სამინისტროში. თითქმის ნახევარი საუკუნე უხმოდ, უშწიკვლოდ და ერთგულად ემსახურა მინდობილ საქმეს და ამით ბედნიერი იყო. მართალია, მოკრძალებული უბანი ებარა, მაგრამ თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე და უზადო შემსრულებელი იყო და მისი ნახელავი სრულებით არ გავდა კანცელარიის მოხელის მიერ მოვალეობის მოხდის მიზნით შესრულებულ ხამუშაოს.

სამინისტრო იყო მისთვის სახლიც, სამსახურიც და მეგობრობისა და ადამიანური ურთიერთობების ასპარეზიც.

ცხოვრებისაგან არც თუ განებივრებულს, ჯანმრთელობაშერყეულს მაინც გააჩნდა ოპტიმიზმი და იუმორი, ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ზოგჯერ დაუჯერებელიც კი იყო, რომ ამ სიცოცხლით სავსე, კოპწია ქალბატონს 70 წელი ჩაეთავებინა.

წავიდა ჩვენგან ერთი კეთილი, დიდსულოვანი ქალბატონი და დაგვიტოვა ტკივილიანი სევდა და სინანული, რომ ისე ვერ მოვეფერეთ, ვერ მოვუარეთ, ისეთი პატივი ვერ მივაგეთ, მისი კეთილშობილი ბუნება რომ იმსახურებდა. და თუ ამ ქვეყნიდან წასულზე მაინც მისი საქმე და სახელი მეტყველებს, მაშინ ქალბატონ ნინოს დიდი ხნის არდავიწყება უწერია მის თანამშრომლებსა და ნაცნობ-მეგობრებში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ

ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაიღუპა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული გაერთიანების თავმჯდომარე ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ (ᲙᲝᲢᲔ) ᲛᲐᲛᲐᲜᲢᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ.

დაიბადა 1955 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში. დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი აგრონომის სპეციალობით. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1978 წელს. მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, 1986 წლიდან კი იყო ჯერ ახუთის კოლმეურნეობის გამგეობის, ხოლო შემდეგ — სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული გაერთიანების თავმჯდომარე. 1989 წელს მისი მუშაობის გამოცდილება განაზოგადა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ცენტრმა.

ბატონი კოტე იყო უაღრესად კეთილსინდისიერი, გულისხმიერი, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, რომელიც მთელ ძალ-ღონეს ახმარდა საერთო საქმეს და ბოლოს სიცოცხლეც კი შესწირა მას.

მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ახლობლების, მეგობრებისა და ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.

ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲚᲥᲐᲜᲘᲐ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ რაიონის სოფელი ჭგალი გლოვობს ბატონ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲚᲥᲐᲜᲘᲐᲡ გარდაცვალებას. იგი დააკლდა სოფელს, კუთხეს, მთელ ქვეყანასაც, რადგან ის იყო კაცი, რომელმაც სიყრმიდანვე შეისისხლხორცა კოლხთა მიწის მთელი სიბრძნე, მისი წარსული, მთელის ენერგიით ილვწოდა მისი აწმყოსა და მომავლისათვის.

დაიბადა 1911 წელს, დაამთავრა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ათწლედი, შემდეგ ციხისძირის აგრონომიული კურსები და ცხოვრების ფერხულში ჩაება — მუშაობდა წალენჯიხის მიწგანის ჩაის სექციის აგრონომად, მშობლიურ სოფელში კოლმეურნეობა „იმედის“ აგროტექნიკოსად, მტს-ის ლიის აგროსაწარმოო უბნის უფროსად. 1937 წელს აირჩიეს გაერთიანებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ, შემდეგში ჭგალის „რუსთაველის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. წლების განმავლობაში მუშაობდა სჯურის ლუგელას ჩამომსხმელი ქარხნების დირექტორად, კურორტ სჯურის დირექტორად, ჭგალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, წალენჯიხის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომისიის მდივნად, პროფკომიტეტის თავმჯდომარედ და, ბოლოს, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ხელმძღვანელობდა სოფელ ჭგალის ვეტერანთა საბჭოს. ყველგან, სადაც უმუშავია, იყო ნაღდი ხელმძღვანელი, პატიოსანი, პრინციპული, და, რაც მთავარია, სამართლიანი. მას არასოდეს უღალატია ქართველი კაცის სახელისათვის. ბატონი ლავრენტი თავისი მრწამსით, საქმიანობით ეროვნული მერმისის პატრიოტი იყო.

ახლობლებს, თანამოსაქმეებს, მეგობრებსა და ამხანაგებს მუდამ ეხსომებათ ამ კეთილი კაცის სახე.

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ.

დამოუკიდებელი სახელმწიფო ფირმა „ტრანსფეთქინდუსტრია“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტერორისტული აქტის შედეგად ინგუშეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საავტომობილო გზის ალკუნ-ტარგიმის მშენებლობაზე ტრაგიკულად დაიღუპა 8 ქართველი მშენებელი ვაჟკაცი

ᲕᲚᲐᲓᲘᲡᲚᲐᲕ ᲯᲐᲑᲣᲠᲘᲐ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲠᲐᲖᲛᲐᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ, ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲑᲐᲑᲜᲘᲫᲔ, ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲓᲐᲕᲘᲗᲣᲠᲘ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ, ᲝᲠᲓᲔᲖ ᲩᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ და სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს და ფირმა „ინგუშენის“ კოლექტივს.

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ
ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ 1994-95 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ
ᲬᲔᲚᲡ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲚᲔᲑᲐᲡ
ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიული ქსოვილები (გობელენი, ფარდაგი, თექა, ბატიკა), ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება, ეთნოგრაფიული ხელოვნების ნიმუშების აღდგენა, კინომცოდნეობა, ტელერეჟისურა, ტელეოპერატორის ხელოვნება.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო სპეციალური, აგრეთვე უმაღლეს განათლებამიღებული პირები. სწავლების ხანგრძლივობაა — 5 წელიწადი. სწავლება ფასიანია. მისაღები გამოცდები მოეწყობა შემდეგ საგნებში:

1. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა)
2. საქართველოს ისტორია (ზეპირი)
3. სპეციალობა.

აბიტურიენტმა განცხადება უნდა შეიტანოს უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და დაურთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო ან საშუალო სპეც. განათლების დოკუმენტი (დედანი),
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა 086)
3. 6 ფოტოსურათი (ზომა 3X4)
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

პასპორტსა და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად. მისაღებ გამოცდებში მონაწილეობისათვის აბიტურიენტი წინასწარ გადაიხდის თანხას.

საბუთები მიიღება 1994 წლის 1-დან 20 ივლისამდე ყოველდღე, 10-დან 16 საათამდე, კვირის გარდა.

მისაღები გამოცდები მოეწყობა 1994 წლის 22 ივლისიდან.

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 14, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი 12, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანატი.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: 29-08-47, 23-66-68.

მთავარი რედაქტორის მოადგილე ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ.
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66484